“ ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! - მძინარიც ამას ვდუდუნებ” - ვაჟა

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2021 წ. აპრილი * №64 * ფასი 2 ლარი
გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან

ბორითის კოზმა და დამიანეს ტაძარი(V ს.)

სამების ტაძრის აშენების იდეა ზვიად გამსახურდიას ეკუთვნის!

გვ. 4

ვინ იყო სუკ-ის თანამშრომელი, ვინც 9 აპრილის ექსკლუზიური კადრები ჩუმად გადაიღო...

გვ. 14

ივანიშვილის ხელისუფლებიდან გაქცევის მორიგი ტრიუკი

ლეილა ცომაია

2020 წლის 31 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებიდან უკვე მეექვსე თვეა დესტაბილიზაცია და საპროტესტო ტალღა არათუ ნელდება, მძაფრდება. ამ ტალღის მძვინვარების ფონზე სახელისუფლო გუნდის არაფორმალურმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა, ჯერ „ოცნების“ პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგომა გამოაცხადა, მერე კი ხელისუფლების არაფორმალურ ლიდერობიდანაც, ანუ პოლიტიკიდან საბოლოოდ წასვლის განცხადება გააკეთა: „65 წლის ვხვდები და პენსიაში გავდივარო“. თავისი „მტკიცე გადაწყვეტილების“ საილუსტრაციოდ მან სკუთარ სამთავრობო გუნდს, ტელეკამერების წინ, იმპერატიულად მიმართა: „არავინ მომაკითხოთ, არავინ დამირეკოთ, ტელეფონის ნომრებსაც ვცვლიო“.

იმდენად, რამდენადაც ივანიშვილის სიტყვებისადმი საანდოობა კომიკურ ნიშნულზეა, ერში აღარავინ დაიჯერა მისი ე.წ. გადაწყვეტილება. და, სწორადაც! პრემიერ-მინისტრ გახარიას უცაბედი გადადგომისთანავე, ივანიშვილმა კვლავ შემოყო თავი ოცნებაში და თავისი სანდო ბიჭუნა ღარიბაშვილი ხელმეორედ გააპრემიერა.

„ოცნების პარტიის“ ახალმა ლიდერმა ირაკლი კობახიძემ და პარლამენტის ახალგაზრდა სპიკერატმა არჩილ თალაკვაძემ, მამუკა მდინარაძემ და სხვ. კი, არათუ განმუხტეს დაძაბულობა, არამედ, კიდევ უფრო გაამძაფრეს და სრულიად სახელისუფლო, პოლიტიკურ კრიზისადაც გარდაქმნეს იგი. სახელისუფლო კრიზისი კი გაამწვავა პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მოულოდნელმა გადადგომამ, რასაც რამდენიმე მინისტრის ნებაყოფლობითი გადადგომაც მოჰყვა. გახარიას გადადგომა კი, თითქოს უკავშირდებოდა „ნაციონალური პარტიის“ ახალარჩეული ლიდერის ნიკა მელიას ხმაურიან დაპატიმრებას პარტიის ოფისში. ოცნების გუნდის ეს სკანდალური გადაწყვეტილება, გახარიამ ეფექტურად გამოიყენა საკუთარი შერყეული რეიტინგის ასამაღლებლად პოლიტიკური რეანიმაციის მიზნით; სულ რაღაც ერთ თვეში მან უკვე გააკეთა განაცხადი ახალი პარტიის შექმნისა და პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნების შესახებ „ზომიერ ოპოზიციად“.

ნიკა მელიამდე კი „ნაციონალები“ და არასამთავრობო ორგანიზაციები, პარლამენტთან პერმანენტულად გაშლილი კარვებით მოითხოვდნენ „პოლიტპატიმარ გიორგი რურუას“ გათავისუფლებას. „ქართული ოცნება“ გიორგი რურუასთან მიმართებაში აშკარად „კოჰაბიტაციის პოლიტიკის“ მსხვერპლი გახდა; გიორგი რურუა დადანაშაულებულია 90-იანი წლების სისხლიან ისტორიაში, ვერელი თორაძეების ოჯახის 7 წევრის ამოწყვეტაში. აშშ-ის მოქალაქე თამარ თორაძემ, თავისი ძმების მკვლელობაში ბიზნესმენ „სილქ როუდ ჯგუფის“ და „სილქნეტის“ დამფუძნებელი გიორგი რამიშვილიც (მეტსახელით – „ზარალა“) დაადანაშაულა. თამარ თორაძემ ამერიკიდან საქართველოს პროკურატურაშიც გამოაგზავნა სარჩელი საქმის გამოძიების მოთხოვნით, მაგრამ პროკურატურა საქმის ხანდაზმულობის მომიზეზებით გამოძიებას აჭიანურებს. არადა, „შორსმჭვრეტელ“ ოცნების ხელისუფლებას 2012 წელსვე უნდა დაეწყო ამ საქმის გამოძიება. ამჟა-

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

მად კი, გიორგი რურუას სოციალური სტატუსი სრულებითაც არ შეესაბამება მის კრიმინალურ წარსულს; იგი დღეს რადიკალურად ოპოზიციური ტელეკომპანია „მთავარის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, 2.5%-ის წილის მფლობელია (ტელეკომპანიის დირექტორი გვარამია - 51%). ნასყიდობის ხელშეკრულებით, გიორგი რურუას თავის 2.5%-იან წილში სულ გადახდილი აქვს 2 500 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ რურუა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააპატიმრეს და მას 4 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, ოცნების ხელისუფლება ვერასოდეს დააჯერებს მსოფლიოს, რომ რურუას დაპატიმრების სპეცოპერაცია პოლიტიკური მოტივით არ გახორციელდა.

ნიკა მელიას დაპატიმრებამ ერთობ გაამძაფრა პროტესტი და მას მსოფლიოს პოლიტიკური წრეების გამოხმაურებაც მოჰყვა; ნიკა მელიაც მიწყივ იქცა პოლიტიკურ პატიმრად! ევროკავშირისა და ამერიკის პოლიტიკური წარმომადგენლობა აქტიურად ჩაერთო საქართველოში მიმდინარე პროცესებში. გაერთიანებული ქართული ოპოზიცია „ოცნების“ ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვს პოლიტპატიმრების გათავისუფლებასა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თარიღის დასახელებას. „ოცნების“ ახალგაზრდა ლიდერები კი, არსებული დილემის მიუხედავად კატეგორიულ პოზიციაზე დგანან არჩევნების გაუყალბებლობისა და პოლიტპატიმრების არარსებობის ჯიუტი მტკიცებით. დილემა კი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ოცნებამ დანიშნა

ახალი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ნიკა მელია და რურუაც პატიმრობიდან გაათავისუფლა, ეს თვითაღიარებას ნიშნავს არჩევნების გაყალბებისა და პოლიტპატიმრების არსებობის შესახებ, რაც სახელისუფლო დიქტატურის დადასტურებაა.

31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, „ოცნების“ რეჟიმმა, ნამდვილად გააყალბა, რათა მესამე ვადითაც დარჩენილიყო ხელისუფლებაში. გააყალბა, როგორც თავის სასარგებლოდ, ასევე ოპოზიციის სასარგებლოდაც, რასაც ხმამაღლა აყვედრიან კიდეც ოპოზიციას. ხელისუფლებამ იმიტომ მიუწერა ოპოზიციას ზედმეტი ხმები, რომ სასიცოცხლოდ სჭირდებათ „ნაციონალების“ უმცირესობა პარლამენტში, რომ მათთან კვლავ დაუსრულებელ კინკლაობაში შეინარჩუნონ ხელისუფლება. „ნაციონალებს“ კი უმრავლესობით სურთ ხელისუფლებაში დაბრუნება. ორივე პოლიტიკური ძალა ყველაფერს აკეთებს, რომ არ შეიქმნას სრულიად ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია ქარიზმატული ლიდერით, რომელიც ისტორიის სანაგვეზე მოისვრის „ოცნებასაც“ და „ნაციონალებსაც“. ეს უკანასკნელნი, უკვე, ეროვნული მოძრაობის სახელსაც კი წაეპოტინენ. ამასთან დაკავშირებით პირადად მე გავაკეთე საპროტესტო განცხადება და სათითაოდ დავუგზავნე ოპოზიციის ლიდერებს, ხოლო ზაალ უდუმაშვილს კი მიტინგზე ვეახლე და განვუცხადე, რომ ისინი ვერასოდეს გარდაიქმნებიან ეროვნულ მოძრაობად, რომ ჩვენ, თქვენსავით, არც უშიშროებიდან მოვსულვართ, არც პოლიციის სტრუქტურებიდან და არც სპეცსამსახურების ტელევიზიებიდან. ჩვენ ეროვნულ მოძრაობაში მოვედით წრფელი, თავდადებული და უანგარო სიყვარულით სამშობლოსა და ქართველი ერისადმი, რის სიმწირესაც თქვენ ყველანი ასე ცხადად განიცდით-მეთქი. ჩემი მიმართვის ტექსტს ქვემოთ ვაქვეყნებ, მანამდე კი დასკვნის სახით უნდა განვაცხადო, რომ ჩვენი სამშობლო საქართველოს სავალალო მდგომარეობა არ ადარდებს, არც დასავლეთს, არც ჩრდილოეთს და არც შინაურ პოლიტიკურ სპექტრს.

საქართველო ჩვენი საპატრონოა!

სპეციალური მიმართვა „ნაციონალური მოძრაობისა“ და მათთან ასოცირებული პოლიტიკური ორგანიზაციების ლიდერებს! Nika Melia / ნიკა მელია Gigi Ugulava, ზალიკო უდუმაშვილი - Zaliko Udumashvili , Khatia Dekanoidze , ელენე ხოშტარია Elene Khoshtaria , Nino Burjanadze - ნინო ბურჯანაძე, Shalva Natelashvili - შალვა ნათელაშვილი, Giorgi Vashadze / გიორგი ვაშაძე, ნატო ჩხეიძეს...

უწინარესად, გულწრფელად გამოვხატავ აღშფოთებას „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის ნიკა მელიას დაპატიმრების გამო ივანიშვილის პოლიციური რეჟიმის სპეცსამსახურების მიერ, რითაც ოცნების უგუნურმა ხელისუფლებამ ყულფში თვითნებურად გაყო თავი. ვიმედოვნებთ, დასავლეთისა და ევროპის დიპლომატების სამართლიანი ზეწოლით, მელიას პოლიტიკური პატიმრობა ხანმოკლე აღმოჩნდება!

ამავე დროს, არ შემიძლია აღშფოთება არ გამოვთქვა ნაცონალური მოძრაობის (ნიკა მელიას, ზაალ უდუმაშვილის, ხატია დეკანოიძის, გიგი უგულავას, დავით ბაქრაძის, კობა ხაბაზის...), და მასთან ასოცირებული სხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერების (შალვა ნათელაშვილის, ნინო ბურჯანაძის, ხაზარაძეჯაფარიძის ოჯახური ტანდემის, ელენე ხოშტარიას, აკაკი ბობოხიძის, გიორგი ვაშაძის...) ძალზედ მკრეხელური და ყურისმომჭრელი პოლიტიკური ქადილის: „ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ დაწყებასა და ნიკა მელიას ეროვნულ გმირ, მერაბ კოსტავას შედარებაზე. ყველამ კარგად ვიცით, რომ ნიკა მელია და მისი ოჯახი (მამა, ბიძა), ყველაზე აგრესიული პარტიის - ედპ-ს აქტიური მოკავშირეები იყვნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შეიარაღებული გადატრიალებით დამხობაში.

ყოველ ადამიანს და მითუმეტეს, პოლიტიკოსს უნდა გააჩნდეს თავისი მორალური კოდექსი, რაც უნდა ზღუდავდეს მას საკუთარ გამონათქვამებში, რომ სიტყვა მათი არ იქცეს გამაყრუებელ რახარუხად; მაღალიდეური მისიის დაჩემებას, განსაკუთრებით უნდა ეკრძალებოდნენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე, თვითშეგნებითა და რწმენით, სიტყვითა და იარაღით ებრძოდნენ ჭეშმარიტ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას. მიუხედავად ამისა, ეს კოლაბორაციონისტური, სიმდიდრით გაქსუებული პოლიტიკური ძალები კვლავ ზეობენ და ე.წ. „ახალ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ ლიდერობას იჩემებენ, რითაც თვალში ნაცარს უტიფრად აყრიან ერს.

კატეგორიულად მოვითხოვ, თქვენისთანა კომედიანტ-ფარისეველი პოლიტიკური ლიდერებისაგან, შეწყვიტოთ მკრეხელური, ვითომდაც „ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ დაწყების დაჩემება. თქვენ - თითოეულ მათგანს, საკუთარი წვლილი გაქვთ, ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ათწლეულების მანძილზე დათრგუნვის, პოლიტიკური და ფინანსური წნეხის ქვეშ მოქცევისა და საინფორმაციო ვაკუუმით მოგუდვაში, რათა აწუკვე თავად აღზევებულიყავით ჩვენზე. თქვენ, არასოდეს გქონიათ სამშობლოს განცდა, თქვენ ვერასოდეს გაითავისებთ სამშობლოს!

ჭეშმარიტ ეროვნულ-განმათავისუფლებლებს კი, უფლის განგებით, შობიდან დაგვყვა სამშობლოსადმი თავდადების ბედისწერა.

პოლიტიკა თქვენთვის სიმდიდრის მოხვეჭის შესაძლებლობაა, ჩვენთვის კი, სამშობლოსათვის მსახურების შესაძლებლობა.

ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მიუხედავად რეპრესიებისა, მაინც ვარსებობთ.

მალე დავიქუხებთ!...

2021 წლის 26 თებერვალი.

„ზურგის ქარმა დაუბერა საქართველოსთვის...“

უფლებააყრილი ქართველი ერი, მთელის არსით ელის XXI საუკუნეში ეროვნული უსაფრთხოების და მშვიდობიანი მომავლის კონტურების ხილვას... მადლობა ქალბატონ ვიოლა ფონ კრამონ-ტაუბადელს ღრმა, საქმიანი და პოლიტიკური თვალსაზრისით, უაღრესად კორექტული შეფასებებისათვის (მადლობა TV ფორმულას ინტერვიუს ჩაწერისათვის).

„ზურგის ქარი“ - ამ მოვლენამ წარსულის ალუზია აღძრა: დამაშვრალი ჩვენი წინამორბედნი საქართველოს თავისუფლებისათვის ომში... როცა XX საუკუნის გარიჟრაჟზე, ევროპის იმპერიების დედაქალაქებში ჩასახულმა „ქარმა“ საქართველოში სიოდ მოაღწია... ამ სიომ შვა 1918 წლის 26 მაისი, ქართული სულის თავისუფლების ზეიმი... სულ მალე „ქარი“ ჩადგა და საქართველო, პოლიტიკური და სამართლებრივი ინსინუაციებით საბჭოთა რუსეთსმა კვაზი-სახელმწიფოდ შეიერთა, სახელმწიფოს, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სახელი შეუცვალა (სახელის შეცვლის ინსინუაცია 1995 წელსაც განახორციელეს), ხოლო მისი არსი გააქრო, როგორც, ყველასაგან განწირული ვეიმარის რესპუბლიკა. სინამდვილეა ისიც, რომ კრემლის კურანტების ხმაში, ამ ზეიმის ექოს, დღესაც დისონანსი შეაქვს... რომ არაფერი ვთქვათ 1991 წლის 9 აპრილის აქტზე, რომლის რეალური შინაარსით დამკვიდრების შიშმა იმპერია აიძულა საკუთარი არსენალის სრული ლუსტრაცია მოეხდინა: არნახული კაცთმოძულეობა, ტერორი, დისკრიმინაცია, კრიმინალი.

ქალბატონი ვიოლა ფონ კრამონ-ტაუბადელი შეეხო უაღესად პრინციპულ სისტემურ საკითხს, დაკავშირებულს საქართველოში მმართველობის კრიმინლურ ბუნებასთან, ძალაუფლების მიტაცებასთან, ძალმომრეობასთან - ეს ასე ისმის, როდესაც იგი სააკაშვილისა და ივანიშვილის როლზე მიუთითებს მათი საქმიანობის გადასახედიდან. ფარული, კულუარული მართვა! ყოვლდშემზღუდავი და სასტიკი, დემოკრატიის მანტიით მოკეკლუცე ავტოკრატიები... ეს განმეორებადი სიმპტომები, რომლებიც სააკაშვილ-ივანიშვილის მმართველობას უკავშირდება და ჩვენი ცხოვრების უკანასკნელ 17 წელს მოიცავს. როცა კორექტული შეფასება ვახსენე, ვიგულისხმე მესამე პირის არ შემოყვანა ამ ტანდემში - თუმცა, „30 წელი გრძელდებაო“ რესპოდენტმა და ცხადი ხდება, თუ ვინ, და რა იგულისხმება დარჩენილ 13 წელიწადში - „თქვენ ნულიდან გსურთ ისევ დაიწყოთ?“ - კითხულობს ქალბატონი ვიოლა, აშკარად შემცბარი იმით, რომ ვერ ამჩნევს ჩვენს ინტერესს იმ პრინციპის გააზრებისთვის, თუ სად შეჩერდა და რატომ ჩვენი წინამორბედი საქართველოს სუვერენიტეტისთვის ბრძოლის გზაზე და რომ ეს ჩვენი, ეროვნული მოვალეობაა ეროვნული გონით მივწვდეთ არსებული კრიმინალური სისტემიდან ქართველი ერის თავის დახსნის ფორმულას.

„ოპოზიცია - ხელისუფლება“ არსებულ სისტემაში, რომელიც უკანონოდ მოახვიეს საქართველოს ხალხს, გახლავთ მოდელირებული, ერთი საწყისიდან წამოსული, ორ ბანაკად ხელოვნურად გაყოფილი დაჯგუფება... ეს პოლიტიკური კლასი ერთიანია იმ პრინციპულ საკითხში, რომ „საქართველო“ არის „ახალი სახელმწიფო„(სსრ კავშირის დაშლის შედეგი), ხოლო მისი „სამართლებრივი საფუძველი“ 1995 წლის „საქართველოს კონსტიტუცია“ გახლავთ. რაც შეეხება ურთიერთ დაპირისპირებას, შურისძიების ჟინს, ღალატსა და გამცემლობას - ეს აბსოლუტურად რეალურია, მათ გულწრფელად სძულთ ერთმანეთი და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი აქვთ , ვინაიდან ეს მათ გავლენებს და მატერიალურ მდგომარეობას უკავშირდება. არსებული ხელისუფლება თავის წინამორბედს (დღეს „ოპოზიცია„) დანაშაულებრივს უწოდებს, ისევე როგორც თავის მხრივ დანაშაულებრივს, კორუფციულს უწოდებდა იმ ბუდეს „ოპოზიცია“ როდესაც ხელისუფლაში ე.წ. რევოლუციით მოვიდა, ბუდეს საიდანაც იშვა და „დემოკრატიის შუქურად“ ამოიზიდა.

მივუახლოვდით საწყისს, 1991 წლის 21 დეკემბერს, როდესაც ქართველი ერის აღრფთოვანება და თავისუფლებისკენ სწრაფვა, საერთაშორისო მდუმარებაში, ძალმომრეობამ და კრიმინალმა შთანთქა და სტარტი მიეცა ქართველი ერის სისტემური დასჯისა და დათრგუნვის მიმდინარე პროცესს - ქართველი ერის ფაქტობრივ დისკრიმინაციას. ძალაუფლებისთვის ბრძოლა დღეს „კრიმინალურ, ოლიგარქიულ სისტემასთან“ მიმდინარეობს ყალბი თეზით, შინაარსგამოცლილი ლოზუნგებით , რათა ათობით და ათასობით ქართველი ახალგაზრდა მოიცვას, გამოავლინოს და მერე... მოცელოს, რათა ჭეშმარიტი ალტერნატივა არ იშვას. ეს მარტივი, მაგრამ ეფექტური მეთოდი, დღესაც აქტუალურია... არცერთი საინფორმაციო საშუალება, არცერთი ანალიტიკური ცენტრი არ აშუქებს, არ ეხება სისტემის შესაძლო ალტერნატივის საკითხს. ფორმალურად დაშვებულია, მხოლოდ სისტემის მოდერნიზებაზე დებატი, რომელ სისტემაშიც, სინამდვილეში, რუსეთის „ოხრანკის“ პროვოკატორების ხელით, ქართული სახელმწიფობრიობის ლიკვიდაცია მიმდინარეობს.

ვფიქრობ, ეს დაბრუნება წარსულში, საქართველოში შექმნილი, თავის განვითარების პიკში მყოფი სისტემის რეალური შინაარსის ამოცნობას შეუწყობს ხელს. დაიცავს მათ, ვინც გულმხურვალედ, პატრიოტული გრძობით არის ჩართული მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და შექმნილი დრამატული მდგომარეობის გამოსწორებას გულწრფელად ესწრაფვის...

გელა ჩორგოლაშვილი
საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს დეპუტატი

ივანიშვილი 1989 წლის 9 აპრილის მთავარ ჯალათს აფინანსებდა

ნათია ნადიბაიძე
12:33 27.03.2019

როგორც ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი ძველი ინტერვიუდან გაირკვა, რომელიც მან რუსულ გამოცემას მისცა, ქართველი მილიარდერი 9 აპრილის პირსისხლიან ჯალათს, გენერალ ლებედს აფინანსებდა. ჟურნალისტის კითხვაზე, უწევდა თუ არა სპონსორობას ლებედს, ივანიშვილი აღიარებს, რომ ის აფინანსებდა და არეკლამებდა რუს გენერალს, როცა იგი მიტოვებულ პოლიტიკოსად ითვლებოდა და ელცინის წინასაარჩევნო შტაბის წევრები, რომელსაც ანატოლი ჩუბაისი ხელმძღვანელობდა, ლებედს სერიოზულად არ უყურებდნენ.

ივანიშვილს ეამაყება ის ფაქტი, რომ „პოლიტიკური გამჭრიახობა“ გამოიჩინა და არჩევნებამდე ერთი თვით ადრე მიახვედრა რუსები, რომ ლებედზე ფსონის დადება მომგებიანი იყო. კერძოდ, ივანიშვილი აცხადებს: ელცინს

დაბალი რეიტინგი ჰქონდა, ლებედმა კი არჩევნებზე მას თავისი ხმები მისცა, რამაც ელცინის გამარჯვება გამოიწვია. ივანიშვილი გულდაწყვეტილი ყოფილა, რომ ამის გამო მადლობაც კი არავინ უთხრა. მილიარდერი ირწმუნება, რომ ეს იყო მხოლოდ ერთხელ, როცა მან პოლიტიკაში მონაწილეობა მიიღო. თუმცა, როდესაც ლებედი გუბერნატორი გამხდარა, ივანიშვილი მას აღარ აფინანსებდა, მაგრამ კადრებით კვლავ დახმარებია.

მოკლედ, როგორც ინტერვიუდან ჩანს, ქართველი მილიარდერი არათუ საძრახისად მიიჩნევს 9 აპრილის ჯალათის დაფინანსებას და მის რუსულ პოლიტიკურ ორბიტაზე მყარად დამკვიდრებას, არამედ ამით ამაყობს კიდეც. ვინც იცნობს საქართველოს უახლოეს ისტორიას და ახსოვს 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები, მათთვის ლებედის გვარი ნაცნობია. ქართველების სიძულვილით შეპყრობილი რუსი „დერჟავნიკ“–ნაციონალისტი, 90–იანი წლების მიჯნაზე, სსრკ–ს გადასარჩენად, აქტიურად იბრძოდა და თავის ნაკვალევზე სისხლს, განადგურებას და გვამებს ტოვებდა.

ავღანეთის ომგამოვლილი და სისხლიანი კალოს წინამძღოლი ლებედი, 1988 წლიდან, ტულის 106 – საჰაერო-სადესანტო დივიზიის მეთაური იყო. ეს დივიზია მონაწილეობდა 1989 წლის 9 აპრილის სისხლიან მოვლენებში, როდესაც ალესილი ნიჩბებით და მომწამლავი აირით, მხეცურად მოკლეს და მოწამლეს პარლამენტის წინ შეკრებილი მშვიდობიანი მომიტინგეები. ოდნავ მოგვიანებით, ლებედი ბაქოს, ყარაბაღის სისხლიანი მოვლენების ერთ–ერთი მთავარი გმირიც გახდა.

1992 წელს, ის დნესტრისპირეთში, ტირასპოლში ჩავიდა, სადაც აქ დისლოცირებულ მე–14 არმიას ხელმძღვანელობდა და დნესტრისპირეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაც მოიპოვა. 1996 წელს, რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატიც იყო და პირველ ტურში, ივანიშვილის მხარში დგომით, ამომრჩეველთა 14 პროცენტის მხარდაჭერა მიიღო. მეორე ტურში კი, ელცინს დაუჭირა მხარი...

ივანიშვილის მეგობარს, რომელიც მოგვიანებით კრასნოდარის მხარის გუბერნატორი გახდა, საკმაოდ თბილი ურთიერთობა ჰქონდა აჭარის ყოფილ მეთაურთან, ასლან აბაშიძესთანაც და მას ბათუმში სტუმრობდა კიდეც. ადამიანი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ტრაგედიაში, ქართველებისადმი სიძულვილით მუდამ გამოირჩეოდა. ამას მისი წიგნის, „Тбилисская Смута“ – ს ერთ–ერთი თავიც კარგად ადასტურებს, რომელიც 9 აპრილის მოვლენებს ეძღვნება. წიგნში რუსი იმპერიალისტ–შოვინისტი გენერალი საქართველოს განსაკუთრებული ზიზღით მოიხსენიებს.

ლებედი არასდროს მალავდა, რომ ის რუსული იმპერიის გაძლიერებისა და გაფართოებისათვის არაფერს და არავის დაზოგავდა. როგორც სხვადასხვა მასალებიდან ირკვევა, გენერალი ლებედი აფხაზეთის ომის დროს, სეპარატისტებს დიდი რაოდენობით თანხებს ურიცხავდა. მისი თაოსნობით შედიოდნენ „მოხალისეები“ აფხაზეთში, სადაც ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ექსპერტები ამბობენ, რომ გენერალი ლებედი იმდენად შავრაზმელი რუსი ულტრანაციონალისტი და სისხლიანი ფიგურა იყო, რომ მისი რადიკალიზმი ბოლოს თვით რუსებსაც მობეზრდათ, რაც, სავარაუდოდ, მისი საეჭვო დაღუპვის მიზეზიც გახდა.

უცნაურია, რომ ასეთი ბიოგრაფიის ფიგურას სწორედ ბიძინა ივანიშვილმა შეუწყო ხელი კარიერულ კიბეზე წინსვლაში. თუმცა, თუ ივანიშვილის ბეგრაუნდს და მის გამოსვლებს გავიხსენებთ, ამაში ლოგიკის მარცვლის პოვნა ძნელი საძებნელი არ იქნება. მთელ ამ ისტორიაში კი ყველაზე ტრაგიკული ალბათ ის არის, რომ საქართველოს გადამრჩენელი მესია „ვერ ხვდება“, თუ რატომ არ უნდა დაეფინანსებინა ქართველ მილიარდერს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი, დაუძინებელი მტერი...

წყარო: https://presa.ge/?m=politics&AID=10267

გიორგი გამსახურდია ბიძინა ივანიშვილზე

„ბიძინამ პოლიტიკაში შექმნა და დატოვა სტანდარტი, თუ როგორ უნდა ემსახურო საკუთარ ქვეყანას და ხალხს. მერე გამარჯვების პიკზე წახვიდე, შენი პირადი შრომით შექმნილი კაპიტალი დაუტოვო და მოახმარო ქვეყანას. ამ მასშტაბის მაგალითი ჯერჯერობით არ არსებობს. მჯერა, ისტორია სათანადოდ შეაფასებს მის ამაგს!“- გაანაცხადა გიორგი გამსახურდიამ.

31 მარტი ჩეფჩენდუმისა და გვიან გამსახურდიას დაპატიმრების დღეა!

სამების ტაძრის აშენების იდეა ზვიადს ეკუთვნის!

ფართო საზოგადოებისთვის ნამდვილად უცნობია, რომ სამების ტაძრის აშენების იდეა ზვიად გამსახურდიას ეკუთვნის, რაზედაც მე ინტერვიუ მივეცი გაზეთ „პრეზიდენტის“ (რედ. ლაშა ნადარეიშვილი) მაშინდელ კორესპონდენტს, პოეტსა და მთარგმნელს ბელა შალვაშვილს და ზუსტად ამ სათაურით დაიბეჭდა კიდეც ხსენებული გაზეთის პირველ გვერდზე 2004 წელს.

დაზუსტებით ვერ გეტყვით თუ, როდის და რა ვითარებაში გაუჩნდა ზვიადს ელიას მთაზე სამების აგების იდეა, მაგრამ ამ იდეასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდის გახსენება კი ნამდვილად შემიძლია; 1986 წლის გაზაფხულზე, როდესაც ზვიადმა და მე ჩემს ბინაში დავამთავრეთ მოსკოვში გამომავალ არალეგალურ ჟურნალ „გლასნოსტისათვის“ გასაგზავნი მასალების დაკომპლექტება, შევთანხმდით, რომ მომდევნო დღეს პოლიტპატიმარ ვალენტინა ფაილოძის შვილებს მოვინახულებდით. ვალენტინა, იმხანად, მესამედ იჯდა ციხეში და ნოვოსიბირსკში იხდიდა სასჯელს დისიდენტური საქმიანობის გამო. მისი სამი შვილი კი ვარკეთილში უკიდურეს სიღუხჭირეში ცხოვრობდა.

სახლიდან წინასწარ დათქმულ დროს გამოვედი და ზვიადის „ვოლგაც“, შეთანხმებისამებრ, უკვე ჩემი საცხოვრებელი ქუჩის პარალელურ ქუჩაზე იდგა; უშიშროების მსტოვრების ყურადღების გაფანტვის მიზნით, ზვიადი ზედ ჩემს საცხოვრისთან არასოდეს დგებოდა.

მანქანაში ჩავჯექი და აუჩქარებლად განვაგრძეთ გზა. მას პოლიტპატიმრის შვილებისთვის ცოტაოდენი ხორაგი წამოეღო. მოვინახულეთ ისინი, რომლებსაც წამოსვლისას, ზვიადმა, ცოტა ხნის საკმარი თანხაც დაუტოვა . უკან წამოსვლისას ზვიადმა მანქანა სიონის ტაძართან გააჩერა, „ბარდაჩოკიდან“ საკუთარი ხელით ჩამოქნილი თაფლის სანთლები გადმოიღო, მომიბოდიშასავით, - დავანთებ და მალე მოვალო. ზვიადისგან ვიცოდი, რომ იგი და მისი მეუღლე მანანა „დეზერტირების“ ბაზარში ნაყიდი თაფლის დიდი ბრიკეტისაგან, სახლში თვითონ ქნიდნენ ხოლმე სანთლებს; ზვიადს ეჭვი ჰქონდა, რომ ეკლესიაში გაყიდული სანთლები მთლად წმინდა თაფლისა არ იყო, არამედ სხვადასხვა მინარევს შეიცავდა (უმეტესად, პარაფინს) და მეც მირჩია თავად გამომექნა სანთელი. ამ რჩევას მრავალი წელი ვასრულებდი, თუმცა ბოლოს, მოუცლელობის გამო მივივიწყე.

სიონიდან გამოსულმა კი მანქანის დაძვრა რატომღაც შეაყოვნა და დაბალი ხმით, თითქოს შემომაპარა: რას იტყვი, სიონზე უფრო დიდი სამების ტაძარი რომ აშენდესო? მე კი იმდენად მოუმზადებელი შევხვდი ამ იდეას, რომ პასუხი დავუგვიანე და ერთხანს დაბნეულ-გაკვირვებული ვუცქერდი ზვიადს, რომლის იერ-სახე ერთიანად მოეცვა ამ ღვთიური იდეის აღსრულების სურვილს. მე კი ერთობ გაბედულ იდეად მომეჩვენა; მაშინ ხომ, ჯერ კიდევ მძლავრობდა საბჭოთა კომუნისტურ-ათეისტური იდეოლოგია და ახალი ტაძრის, მეტადრე, დიდი ტაძრის აგება კი არა, ძველი და დახურული ტაძრების ამოქმედებაც დიდ და ხანგრძლივ ბრძოლებთან იყო დაკავშირებული. ზვიადი, იმხანად ჩიტაძის ქუჩაზე არსებული წმინდა ნინოს ეკლესიის (მე-XVIII საუკუნის ტაძარი) ამოქმედებისთვის იღვწოდა, სადაც მაშინ საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავი იყო განთავსებული. მე კი, ინგილო თამარ პაპიაშვილთან ერთად, „ნახალოვკაში“, თოფურიძის ქუჩაზე აბანოდ გადაკეთებული ღვთისმშობლის ეკლესიის ამოქმედებისთვის პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება ორიოდე თვის დამთავრებული მქონდა და უშიშროების დევნით გამოწვეული სტრესებისგან, ჯერაც არ ვიყავი გათავისუფლებული. ამ ყველაფრის მოგონების კადრებმა რომ გამიელვა, სუსტი ხმით მივუგე ზვიადს: კი, მაგრამ სამების ეკლესია ხომ გვაქვს, აგერ ცენტრში-მეთქი... (საჯარო ბიბლიოთეკის უკან მდებარე XIX საუკუნის ეკლესია ვიგულისხმე). ზვიადმა კი მომიგო: ის ძალიან მცირე ეკლესიაა, სამების ტაძარი სიდიდით ყველა ეკლესიას უნდა აღემატებოდესო, თქვა მტკიცედ და კანონიკურად. ვინ აგვაშენებინებს, ან სად უნდა აშენდეს-მეთქი? ზვიადმა სიონის ეკლესიიდან თავი გვერდით და ზემოთ შეაბრუნა: აგერ, იქ, ელიას მთაზე... გინდა, ავიდეთ და ადგილი ვნახოთ? - იდუმალი ხმით მკითხა:

მე მაშინ პირველად მისგან გავიგე, რომ, თბილისში, ისიც სიონის გადაღმა მაღლობს ელიას მთა ერქვა. იმდენად არარეალურად მეჩვენა მისი იდეა, რომ ადგილის მონახულებაზე უარი ვუთხარი, სხვა დროისთვის გადავდოთ-მეთქი. თან ჩავეკითხე: პატრიარქს თუ გაანდეთ თქვენი იდეა? ჯერ, არაო, მიპასუხა და მისი ხმის ინტონაციაში ვიგრძენი, რომ პატრიარქისთვის განდობის გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა.

გაზეთ „პრეზიდენტის“ კორესპონდენტმა ქალბატონმა ბელა შალვაშვილმა ინტერვიუს ბოლოს, რადგან სამების ტაძარი უკვე აშენებული და მოქმედიც იყო (1995-2004), ასეთი კითხვა დამისვა:

უკვე გასაგებია, რომ ტაძრის მშენებლობის იდეა ზვიად გამსახურდიასია. მაშ, რატომ არ იქნა მისი სახელი ნახსენები ტაძრის კურთხევისას?

რაზეც მე ვუპასუხე, რომ ისევე, როგორც შევარდნაძის ხელისუფლებას, ამ ხელისუფლებასაც მიზნად აქვს დასახული, ზვიადის ხსენება ისტორიიდან ამოშალოს-მეთქი!

და ეს „დიადი“ მიზანი პატრიარქის პირად ინტერესებშიც შედის...

ლეილა ცომაია

ზვიადმა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მაღალმთიან არდოტში გზა შეიყვანა

80-იან წლებში არდოტში თბილისიდან დაბრუნებული და დღემდე იქ მცხოვრები მურღვა არდოტელი იხსენებს: ძალიან მინდოდა, მთაში დავბრუნებულიყავით, ამიტომ მურღვას შთამომავლები შევკრიბე და გადავწყვიტეთ, ჩვენი წინაპრების სოფელი არდოტი აღგვედგინა და გაგვემაგრებინა. 80-იან წლებში შატილის აშენება დაიწყო. მაშინ არდოტში მასწავლებლად დავბრუნდი და ჩემთან ერთად 15 ოჯახი დაბრუნდა. თავის დროზე ჩვენმა პირველმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ არდოტში გზა შეიყვანა. მაშინ შევხვდი მთავრობის წარმომადგენლებს და ვთხოვე, რომ აქაურობის პრობლემები გადაეწყვიტათ. ამ საქმეს ჩემი ძმადნაფიცი, ზურა ჯაფარიძე უძღვებოდა. მას დიდი სამეგობრო ჰყავდა და ბევრ ხალხს იცნობდა. ზვიად გამსახურდიამ ამ საქმისთვის მილიონი გამოჰყო და ჩვენს ხეობას 300 000 მოხმარდა. კონსტანტინე გამსახურდია რომ წერს: „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვსო“, ქართული საქმეც ეგრეა — გულის სისხლს მოითხოვს. მაშინ გიორგი წიკლაური ხევსურეთის თემთა საბჭოს თავმჯდომარე იყო და საქმის კურსში იყო. ის სოფელ გამარჯვებაშიც მოვიწვიე, მთაშიც გადავიყვანე. მან დიდი საქმე გაგვიკეთა და 700 000 არდოტისკენ წამოვიდა. მაშინ ორ კვირაში მუცოდან კლდე გაჭრეს და იქ გზა გავიდა. ამან ჩვენი მთისკენ მიბრუნება გამოიწვია... არდოტში იმ დროს 15 ოჯახი მივტრიალდით და 51 სული ვიყავით. შატილში სკოლა-ინტერნატი გაიხსნა და იქ მასწავლებელი არ ჰყავდათ. მე დავტოვე თბილისი და 1991 წელს იქ დავბრუნდი. მას მერე მთაში ვარ. მერე კი 5 წელიწადში ის ადგილები ნელ-ნელა ისევ დაცარიელდა, საშველი არ დაადგა. ყველაფერი გაჩერდა და მე შემოვრჩი იქ მასწავლებლად, ბოლოს 12 მოსწავლე მყავდა. მერე მათაც დაამთავრეს და სხვადასხვა რეგიონებში წავიდნენ. ბოლოს, 2009-2010 წლებში ჩემს ორ უფროს ბავშვს ვასწავლიდი. დუშეთის გამგეობას ვთხოვე, ნუ დამიხურავთ–მეთქი სკოლას და მათ გულთან ახლოს მიიტანეს ჩემი ტკივილი, მაგრამ მერე, სამწუხაროდ, ბავშვი აღარავინ გამოჩნდა... სოფელი ისევ დაცარიელდა და ჩემს ბავშვებს სწავლა-განათლება რომ მიეღოთ, სოფელ გამარჯვებაში ჩამოვიყვანე. მე უკვე რვა წელია ზამთარში მარტო ვარ. ახლა ივნისამდე ველარ გადმოვალ.

წყარო: https://m.sputnik-georgia.com/people/20171130/238371606/murgva-ardoteli.

ნამახვანჰესი

თუ მოთხოვნები არ შესრულდება, შემდეგი აქცია პარლამენტთან იქნება - გოლეთიანი

„მოვუწოდებთ ბატონ პრემიერს, თუ ისინი არ გაითვალისწინებენ ათასობით, ათი ათასობით ადამიანის პოზიციას, რეგიონებში შეიქმნება საინიციატივო ჯგუფები და ჩვენ აუცილებლად დავიძვრებით თბილისისკენ, გაცილებით უფრო მეტი ვიქნებით. თუ ჩვენი მოთხოვნები არ შესრულდება, შემდეგი აქცია ჩატარდება პარლამენტთან და რა სურათსაც ისინი მიიღებენ თბილისში, არ იქნება ის სურათი, რაც არის დღეს“, – განაცხადა ნამახვანჰესის წინააღმდეგ ქუთაისში მიმდინარე მრავალათასიან აქციაზე მოძრაობა „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ ლიდერმა, ვარლამ გოლეთიანმა.

„ჩვენ ვიქნებით გაცილებით უფრო მეტი, შევაჯანჯღარებთ ხელისუფლებას, რომელიც თვლის, რომ ერთპიროვნულად უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კოლექტიური გადაწყვეტილების საგანია. არ შეიძლება კონკრეტულმა ხელისუფლებამ გადაწყვიტოს ისეთი რამ, რასაც ამდენი ხალხი ეწინააღმდეგება - ეს არის მიწების და არამხოლოდ მიწების საკითხი.

მოვუწოდებთ მათ, მოეგონ გონს. ჩვენ არ გვინდა ეს ყველაფერი გადავზარდოთ ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნებში და წავიდეთ რევოლუციური სცენარით, თუმცა ყველა ვხედავთ, რომ აბსოლუტურად შესაძლებელი პროცესია, შეიძლება ესეც არ გაგვიჭირდეს, როდესაც ამდენი ადამიანი დგას ამ მოედანზე და კიდევ უფრო მეტი ადამიანი მოემატება ჩვენს ერთობას, ქართველი ხალხის ერთობას.

ამ ეტაპზე არ ვითხოვთ ხელისუფლების გადადგომას. ჩვენ ვითხოვთ, რომ ქართველი ხალხის ნება იქნეს გათვალისწინებული, ნუ მიგვიყვანენ ამ რადიკალიზმამდე, რომ მათ ვუთხრათ „წადით, რადგან ჩვენ არ გვემორჩილებით“, – განაცხადა გოლეთიანმა.

მოძრაობა „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ ითხოვს უარი ითქვას ნამახვანჰესის მშენებლობაზე, კომპანია „ენკამ“ დატოვოს რიონის ხეობა, მთავრობის მიერ ერთი წლის წინ გადაცემული მიწები დაუბრუნდეს სახელმწიფოს. ნამახვანჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეების მოთხოვნებს დღეს კიდევ ერთი დაემატა - გადადგეს ეკონომიკის მინისტრი ნათელა თურნავა. გოლეთიანის თქმით, მინისტრმა შეურაცხყოფა მიაყენა ათასობით ადამიანს, როდესაც განაცხადა, რომ მათ ცნობიერების პრობლემა აქვთ.

„მოვუწოდებთ ხელისუფლებას მშვიდობიანად აღიარონ საკუთარი შეცდომები და გადადგეს ეკონომიკის მინისტრი. ჩვენ არ ვებრძვით ბუნებაში ჰესების მშენებლობას, ჩვენ ვიბრძვით იმის წინააღმდეგ, რომ ჰესების საფარქვეშ არ იყოს დათმობილი სახელმწიფო და ჩვენი კოლექტიური ინტერესი.

ვითხოვთ, რომ გამოცხადდეს მორატორიუმი ამ საკითხთან დაკავშირებით და მოხდეს ჩვენი ყველას ჩართვა ამ პროცესებში, რადგან ეს პრობლემები დგას საქართველოს ყველა კუთხეში. გამოცხადდეს მორატორიუმი ენერგეტიკის სექტორში და დაიწყოს საჯარო განხილვები, რათა განისაზღვროს კანონმდებლობა, სადაც ასახული იქნება ქართველი ხალხის ნება და არა კონკრეტული ჩინოვნიკების, რომლებიც საკუთარ ვიწრო ინტერესებს არგებენ სახელმწიფო ინტერესს.

ჩვენ ვცდილობთ, შევქმნათ ისეთი საზოგადოება, რომელიც მშვიდობით წყვეტს საკითხებს. არ გვინდა, რომ დღეის შემდეგ, როდესაც მოგვიწევს შეკრება ამ ან სხვა პრობლემებზე, ვისროლოთ ქვა, ან რაღაც ისეთი ქმედებები განვახორციელოთ, რომელიც ჩვენ, როგორც კულტურულ და განვითარებულ ხალხს, არ შეგვეფერება. გვინდა, რომ ჩვენი ყოველი მანიფესტაცია იყოს მშვიდობიანი ფორმით და დღევანდელი დღე ამის მაგალითია. გვინდა, რომ ხელისუფლებას ესმოდეს საკუთარი ხალხის, ჩამოვყალიბდეთ ისეთ სამოქალაქო საზოგადოებად, რომელშიც გვექნება უფლება მოვითხოვოთ რეფერენდუმი, რომ მსგავსი საკითხები გადაწყდეს სწორედ რეფერენდუმით.

ესა თუ ის ხელისუფალი არ უნდა გვარიგებდეს ჭკუას, თითქოს მას უფრო მეტი ესმის და ათასობით ადამიანს, რომელიც დღეს აქ არის შეკრებილი, ცნობიერების და შეფასების პრობლემა აქვს.

სირცხვილია, როდესაც ქართველ ხალხს ასე მიმართავს საკუთარი ხელისუფალი. ეს არის უკიდურესად შეურაცხმყოფელი. ამიტომ მოვითხოვეთ მინისტრის გადადგომა. არ შეიძლება ასეთი ადამიანი იყოს ხელისუფლებაში“, – აღნიშნა ვარლამ გოლეთიანმა.

წყარო: https://reginfo.ge/people/item/21447-tu-motxovnebi-ar-shesruldeba,-shemdegi-aqzia-parlamenttan-iqneba-goletiani?

26 მაისის მოედანი გააქრეს

საქართველოს ხელისუფლების კულუარულმა მმართველმა ივანიშვილმა და დედაქალაქის მერმა კახი კალაძემ, ყოფილი სასტუმრო „აჭარის“ (ამჟამინდელი სახელწოდება „Holiday Inn") წინამდებარედ 1990 წლიდან არსებული „26 მაისის“ მოედანი“, რეკონსტრუქციის ფარგლებში გააუქმა - სრულად გაქრო აღნიშნული დასახელების ბანერი!

ვინ ხართ! რა ჯიშისანი! ისტორიის უცოდინარო მავნებლებო, სამშობლო არ გაქვთ?!

ქოცხროვავ, სრულად გადაშენდით ჩვენი სამშობლოდან, მანამდე კი, კატეგორიულად მოვითხოვთ აღადგინოთ ისტორიული ბანერი!!!

ჩვენ თბილისის მერიას საიტზე, შეტყობინება გავუგზავნეთ 26 მაისის ბანერის შესახებ და ნახეთ, როგორი აბსურდული პასუხი გაგვცეს:



ქეთევან ჭანტურია

ზვიად გამსახურდია - საქართველოს პირველი პრეზიდენტი

1992 წლის დასაწყისში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა სომხეთის გავლით ჩეჩნეთში, გროზნოში გადასულიყო, სადაც გენერალმა ჯოჰარ დუდაევმა თავშესაფარი მისცა. ზვიად გამსახურდიამ, ქვეყნიდან წასვლის შემდეგ, პირველი ინტერვიუ სომხეთის სახელმწიფო სააგენტოს „არმენპრესს" მისცა.

საინფორმაციო სააგენტო „არმენპრესმა" საარქივო მასალა, ექსკლუზიურად „ჯი-ეიჩ-ენს" გადასცა.

„ჯი-ეიჩ-ენი" მადლობას უხდის სომეხ კოლეგებს საარქივო მასალის მიწოდებისა და გაწეული დახმარებისთვის. ინტერვიუ 1992 წლის 11 იანვარს გამოქვეყნდა, სომხურ ენაზე.

ՆՇԱՆԱԿՎԵՑ ԼՂՀ-Ի ՎԱՐՉԱՊԵՏԸ

ՀՀ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅՈՒՆՈՒՄ

ԶՎԻԱԴ ԳԱՄՍԱԽՈՒՐԴԻԱ. «Ես Վրաստանի օրինական պրեզիդենտն եմ»

— Ես չեմ կարող հանձնվել: Ժողովուրդն ինձ է պաշտպանում: Նա չէր պահանջում, որ ես հրաժարական տամ: Խռովարարները թեև հայտարարել են ինձ պաշտոնանկ անելու մասին, բայց ես, մինչդեռ է, մնում եմ որպես Վրաստանի նախագահ: Նրանց հայտարարությունները ինձ համար օրենք չեն: Նորից եմ կրկնում. ես Վրաստանի օրինական նախագահն եմ...

Զվիադ Գամսախուրդիայի հետ Արմենպրեսի հատուկ թղթակիցների հարցազրույցից:

(Ամբողջությամբ՝ մեր բերքի հաջորդ համարում):

- ბატონო ზვიად, უცხო ქვეყნების ხელისუფლებისადმი ბოლო მიმართვაში აღიარეთ, რომ არ აპირებთ გადადგომას. რა იმედებს უკავშირებთ ამ განცხადებას?

-ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ადამიანთა, მათ შორის, საკმაოდ საეჭვო რეპუტაციის მქონე გარკვეული ჯგუფების სურვილის მიხედვით არ უნდა გადადგეს. მე მხოლოდ ამომრჩეველთა მოთხოვნის შემდეგ გადავდგები. არ ვაპირებ პოლიტიკური არენიდან წასვლას, თუნდაც ამას ჩემი ოპონენტები მოითხოვდნენ.

- მაგრამ როგორ ახსნით თქვენივე ქვეყნიდან, თქვენს დევნილის მდგომარეობას?

- ეს ჩვეულებრივი შეთქმულების შედეგია. დიახ, მე დავტოვე საქართველო, მაგრამ არა იმიტომ, რომ წინააღმდეგობის გაწევა არ შემეძლო, არამედ იმიტომ, რომ სისხლისღვრა შემეჩერებინა.

-ეს უფრო ადრე რატომ არ გააკეთეთ, ბუნტის მეორე ან მესამე დღეს?

-ფიზიკურად არ შემეძლო. ჩემი რეზიდენცია ისე იყო ალყაშემორტყმული, რომ ბლოკადის გარღვევა ვერ მოვახერხეთ. მხოლოდ ორშაბათს, 6 იანვარს, შევძელით ამის გაკეთება.

-ბატონო პრეზიდენტო, ცენტრალური ტელევიზიით აჩვენეს თქვენი თავშესაფარი, სადაც ბოლო დღეებს ატარებდით. იქ აღმოჩენილია რაღაც სპეციალური ნივთები, რომლებიც ადამიანების წამებისთვის იყო განკუთვნილი. რა კომენტარს გააკეთებდით ამ ინფორმაციაზე?

-ეს აბსოლუტური სიცრუეა, რომელიც სპეციალურად, დეზინფორმაციისთვის გავრცელდა. ჩემი ოპონენტები იქამდე დაეცნენ, რომ რაღაც ზღაპრული მილიონების მოპარვაში დამადანაშაულეს. ეს აბსოლუტური ტყუილია.

-ბატონო პრეზიდენტო, შეცდომებისგან არავინ არის დაზღვეული, მთავარია მათი დანახვა და აღიარება. თქვენ გქონდათ შეცდომები, და თუ ასეა, რა დასკვნები გამოიტანეთ?

-რა თქმა უნდა, მქონდა. სახელმწიფოს არც ერთ მოღვაწეს არ შეუძლია ამის თავიდან არიდება. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ზოგიერთი ადამიანის მიმართ ძალიან რბილი და მიმნდობი ვიყავი, ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც შემდეგ გადატრიალება მოახდინეს.

-შეგიძლიათ განმარტოთ ოპოზიციის მიზანი?

-მათი მიზანი ნათელია - ხელისუფლების მიტაცება, ლეგიტიმური მთავრობის დამხობა. ამასთან, ისინი იყენებდნენ ყველა მეთოდს ხელისუფლებაში მოსასვლელად. და მათი კიდევ ერთი მიზანი სიმდიდრის ხელში ჩაგდება იყო.

-აქვს თუ არა ედუარდ შევარდნაძეს კავშირი მოვლენებთან, რომელიც საქართველოში ხდება?

-უშუალო კავშირი აქვს. ის არც მალავს ამას. ის ტკბება პუტჩისტების ქმედებებით, ლეგიტიმური, ხალხის მიერ არჩეული მთავრობის სისხლით დამხობას კი დემოკრატიად მიიჩნევს. ის მომხდარის მთავარი იდეოლოგი და სულისჩამდგმელია.

-თუ გაქვთ რაიმე გეგმა მომავალი საქმიანობისა და ცხოვრების შესახებ. სავარაუდოდ ყველა საიდუმლოს გამხელას არ მოისურვებთ, ამას არც გთხოვთ. მაგრამ ზოგადად შეგიძლიათ ისაუბროთ?

-მე ვამხელ იმ ბოროტებას, რაც დღეს საქართველოში ხდება და ამისთვის მთელს ჩემს შესაძლებლობას გამოვიყენებ. ჟურნალისტების ვიზიტსაც განვიხილავ, როგორც ამ ჯაჭვის ერთ რგოლს. დღეს ჩემი ერთადერთი იარაღი - სიმართლეა, რომელიც თქვენი დახმარებით მინდა ჩემს ხალხამდე მივიტანო.

-თქვენი აზრით, როგორ განვითარდება საქართველოში მოვლენები?

-ვფიქრობ, რომ ანარქია გაგრძელდება. ახალი მთავრობა ვერ შეძლებს ვითარების გაკონტროლებას. საქართველოში არასასურველი მოვლენები განვითარდება.

-ვივარაუდოთ, რომ სასამართლო თქვენს სასარგებლოდ არ გამოიტანს გადაწყვეტილებას. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი შემდგომი ბრძოლა სამართლიანობის აღსადგენად? და ამასთან დაკავშირებით რა სარგებელს მოგიტანთ სომხეთი და მისი მოსახლეობა?

-ამჟამად სომხეთის ტერიტორიაზე ვიმყოფები. ხელისუფლება სრული უსაფრთხოების გარანტიას მაძლევს, მე თქვენი ხელისუფლების მხარდაჭერის იმედი მაქვს. არ მგონია, რომ ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას კონსტიტუციურად არ დაუჭიროს მხარი მეზობელმა სახელმწიფომ. სომხეთის ხელისუფლებამ ჩემს მიმართ უკვე გამოიჩინა ჰუმანურობა და ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც ასე იქნება ჩემი კანონიერი სტატუსის გარკვევამდე. მინდა ამის მჯეროდეს...

-როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია რომელ მთავარ ბრალდებას წაგიყენებთ?

-ისინი ნებისმიერ ბრალდებას წამიყენებენ, რაც თავში გაუელვებთ. მათგან ყველანაირ უღირს ქმედებას ველოდები.

-თენგიზ სიგუა პრემიერ-მინისტრად თქვენ დანიშნეთ. რითი ახსნით თქვენი შეხედულებების განსხვავებას, რომელიც შემდეგ გამოიკვეთა?

-ეს იყო გაბოროტებული ადამიანის პოზიცია. პასუხი ჩემს მიერ პრემიერის პოსტიდან მის გათავისუფლებაზე.

-მისი ხასიათის რა თვისებები გაითვალისწინეთ, როდესაც ის ასეთ მაღალ თანამდებობაზე - მთავრობის ხელმძღვანელის პოსტზე დანიშნეთ?

-პრემიერ-მინისტრად სიგუას დანიშვნა ჩემი შეცდომა იყო.

-დავუბრუნდეთ საუბარს იმის შესახებ, თუ როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ცხოვრება, როდესაც პრეზიდენტი აღარ იქნებით?

-არ შეიძლება, რომ პრეზიდენტი არ ვიყო. ხალხი მე მხარს მიჭერს. ხალხს არ უნდა ჩემი გადადგომა. იმის მიუხედავად, რომ პუტჩისტებმა ჩემი დამხობის შესახებ განაცხადეს, მე მაინც საქართველოს პრეზიდენტად ვრჩები. მათი განცხადებები ჩემთვის კანონი არ არის. კვლავ ვიმეორებ - მე საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი ვარ.

-ბატონო პრეზიდენტო, როგორ ახსნით ქართული ინტელიგენციის ასეთ კრიტიკულ დამოკიდებულებას თქვენს მიმართ?

-ეს საქართველოს ინტელიგენცია არ არის. ეს მისი მცირე ნაწილია, პარტიული ნაწილი. ეს არიან ადამიანები, რომლებიც კომუნისტების დროს სარგებლობდნენ ყველანაირი სიკეთით, დღეს კი ამას მოკლებულნი არიან.

-სროლის ბრძანება პირადად თქვენ გაეცით?

-საქმე ბრძანებამდე არ მისულა. ყველაფერი მოულოდნელად დაიწყო. მე ერთ-ერთ სამუშაო კაბინეტში ვიმყოფებოდი. უცებ ყველა მხრიდან დაიწყო მთავრობის სახლის წინააღმდეგ სროლა. ბუნებრივია, რომ დაცვამ საპასუხო ცეცხლი გახსნა. ბრძანებას არავინ დალოდებია. ამის სურვილიც რომ მქონოდა, ვერ მოვასწრებდი ასეთი ბრძანების გაცემას.

-ბატონო პრეზიდენტო, ასეთი პოლიტიკური კარიერული წინსვლის შემდეგ, იფიქრებდით, რომ ყველაფერი ასე სამწუხაროდ დასრულდებოდა?

-საქმის ასეთ შემობრუნებას არ ველოდი. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ მოსალოდნელი იქნებოდა ყველანაირი ჭორის გავრცელება, რაღაც ბრალდებები. მე მიჩვეული ვარ ამას. მაგრამ ის, რომ ადამიანები იმდენად გამხეცდებოდნენ, რომ თავიანთი ხალხის სისხლის ღვრას დაიწყებდნენ, არ ველოდი.

- გუშინ შევხვდი რეჟისორ გიორგი შენგელაიას, თქვენი ბავშვობის მეგობარს. მან მითხრა, რომ თქვენი დავალებით ცენზურა დაწესებული ბეჭდვით საშუალებებზე, რის გამოც ხალხამდე არ მიდის მართალი ინფორმაცია.

-სასაცილოა ამის მოსმენა. საქართველოში გამოიცემა 20 ოპოზიციური გაზეთი, რომლებიც წერენ ყველაფერს, რაც მოესურვებათ. ჩემ მთავრობას მხოლოდ რამდენიმე გაზეთი აქვს.

- თქვენ ხშირად ჩამოდიოდით სომხეთში?

-ადრე ჩამოვდიოდი. მაგრამ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტად ამირჩიეს, ჯერ არსად ვყოფილვარ. ვიზიტებისთვის დრო არ მრჩებოდა.

-მითხარით, თუ შეიძლება, „მრგვალი მაგიდის" რომელი წარმომადგენლები არიან თქვენი ძირითადი მოკავშირეები?

-ყველა ის, ვინც ერთგული დარჩა ადამიანის უფლებების დაცვის, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბრძოლის.

-და ისინი გააგრძელებენ ბრძოლას?

-ვფიქრობ, რომ კი. მაგრამ მიზნის მიღწევისთვის შეიარაღებული ბრძოლა მეთოდი არ არის. დღეს ახლა ამას აზრი არ აქვს, რადგან ორივე მხარეს დიდი რაოდენობით იარაღი დაუგროვდა.

-არ გაქვთ სურვილი, აქედან მიმართოთ ქართველ ხალხს?

-არ მაქვს ასეთი შესაძლებლობა, ეს ტექნიკურად შეუძლებელია.

-შესაძლებლობა რომ გქონო-

გაგრძელება გვ. 12

ზვიად გამსახურდია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ

(შემოკლებული ვარიანტი)

პროფ. ტარიელ ფუტკარაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი

საინტერესოა 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დროს ზვიად გამსახურდიას გამოსვლის ტექსტის შემდეგი ფრაგმენტიც: "საქართველოს რესპუბლიკა ავტონომიას მტკიცე კონსტიტუციური გარანტიით აძლევს აფხაზ ხალხს[16], ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება რეფერენდუმით"[17].

წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმებიდანაც აშკარაა, რომ ზვიად გამსახურდიას გამოკვეთილი მიზანი იყო, აჭარის მოსახლეობის ნებით გაუქმებულიყო აჭარის უკანონო ავტონომია. ამ სტრატეგიის ნაწილი იყო აჭარაში ზვიად გამსახურდიას საკადრო პოლიტიკაც (ამ კონტექსტში წინასწარვე აღვნიშნავ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა აჭარის პირველ პირად ასლან აბაშიძის დანიშვნით).

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების შემდეგ შეიქმნა ლოგიკური და სამართლებრივი საფუძვლები,რეფერენდუმის გზით გაუქმებულიყო 1921 წელს უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა; მით უმეტეს, ასეთი იყო აჭარის მოსახლეობის რეალური განწყობაც და მზაობაც.

ფაქტია: 1991 წლის გაზაფხულზე აჭარის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის სურვილი იყო საქართველოში ქართველთა არალოგიკური ავტონომიის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის - გაუქმება; ეს ცხადყო 1991 წლის 31 მარტს აჭარაში ჩატარებულმა რეფერენდუმმაც; კერძოდ, რეფერენდუმამდე ზემო აჭარაში დაძრწოდნენ ე.წ. „აჭარის ხსნის კომიტეტის“ წევრები და რამდენიმე ადგილობრივი კომუნისტი ლიდერი (მათ ხალხმა „სავარძლების ხსნის კომიტეტი“ დაარქვა), რომლებიც ხალხს ეუბნებოდნენ, რომ ხმა არ მიეცათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, იმიტომ რომ 1918 წელს არ იყო აჭარის ავტონომია; შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მხარდაჭერით მხარს დაუჭერდნენ აჭარის ავტონომიის გაუქმებას.

ამგვარი დემაგოგიის მიუხედავად, ხალხმა - აჭარის მოსახლეობის 98%-მა - ხმა მისცა უავტონომიო საქართველოს დამოუკიდებლობას: აჭარის მკვიდრნი მზად იყვნენ, მოეშორებინათ უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომია. 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ აჭარაშიც უფრო ამაღლდა ქართული ეროვნული ღირსება; ხალხი სრულად იყო მობილიზებული ქართველთა დამანაწევრებელი აჭარის ავტონომიის გასაუქმებლად. როგორც აღვნიშნე, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, კრემლის ინსტრუქციების შესაბამისად, 80-იანი წლების ბოლოდან აქტიურობდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და, პარალელურად, ვითომდა იცავდნენ „აჭარლებს“ (/აჭარას) „ქართველების“ ექსპანსიისგან. ასეთი პირები გაერთიანებული იყვნენ მცირერიცხოვან, მაგრამ მიზანმიმართულ ორ ჯგუფში: „აჭარის ხსნის კომიტეტსა“ და „გარდაქმნის ხელშემწყობ აჭარის საზოგადოებაში“. ორივე ჯგუფი ფაქტობრივად ასრულებდა პრორუსული მე-5 კოლონის როლს[20].

ასლან აბაშიძის აჭარაში დანიშვნის შემდეგ „აჭარის ხსნის კომიტეტის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა ვითომდა მუსლიმური თემის დაცვაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციაც: „მუსლიმან ქართველთა საზოგადოება„[21]. ასლანის უშუალო კლანთან ერთად, ეს ორი მცირერიცხოვანი ჯგუფი სხვა რამდენიმე პირთან ქმნიდა თანამოაზრეთა ერთგვარ „ზიარჭურჭელს“, რომელსაც, ჩემი ღრმა რწმენით, უფრო კრემლი მართავდა (ამ ჯგუფის წევრების დიდმა ნაწილმა 2004 წლის შემდეგ თავი შეაფარა რუსეთს)[22]. მათი მიზანი იყო, 28 აპრილს სასწრაფოდ ჩაეტარებინათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რომ გაემყარებინათ პრეფექტების დანიშვნის შემდეგ ფაქტიურად უკვე ფუნქციაგანულებული აჭარის ავტონომიის სტრუქტურები.

1991 წლის მარტსა და აპრილის პირველ ნახევარში არსებული რეალობის შესახებ, ასევე, აჭარის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის განწყობის შესახებ დეტალურად იცოდა ზვიად გამსახურდიამ. 10-14 აპრილის პერიოდში ბ-ნ ზვიადს ვუთხარი ისიც, რომ აჭარაში სანამ ეს ზოგადქართული ეროვნული მუხტი არსებობდა, ავტონომიის მიზანშეწონილობის შესახებ რეფერენდუმის ჩასატარებლად კარგი პირობები იყო 26 მაისს - პრეზიდენტის არჩევნების დღეს. საჭირო იყო მხოლოდ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კოორდინირებული მუშაობა. კოორდინაცია შეუძლებელი გახდა ასლან აბაშიძის გამო.

მოკლედ აჭარაში ზვიად გამსახურდიას საკადრო პოლიტიკის შესახებ:

აჭარაში 31 მარტის რეფერენდუმის, ასევე, აჭარის ავტონომიის შესახებ რეფერენდუმის ორგანიზების უზრუნველყოფისათვის 1991 წლის მარტის დასაწყისში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილების შესაბამისად, ბათუმის პრეფექტად დავინიშნე[23]. ბ-ნი ზვიადი ჩემს დანიშვნას აპირებდა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედაც, მაგრამ თემურ ქორიძის, ასევე, სხვათა მხარდაჭერით, მოულოდნელად, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ასლან აბაშიძე, მის მოადგილედ - ნოდარ იმნაძე, ხოლო აჭარის მთავრობის თამჯდომარედ - გურამ ჩიგოგიძე[24]. პრეზიდენტს სურდა, ყველას ერთად გვემუშავა აჭარაში რეფერენდუმის ჩასატარებლად.

აჭარის უკანონო ავტონომიის გაუქმების თემაზე რეფერენდუმის გამართვას არ ჩქარობდნენ: ნოდარ იმნაძე, გურამ ჩიგოგიძე და მამუკა კობახიძე (ერთი-ორი წელი მოვიცადოთ - ასეთი იყო მათი პოზიცია). ასლანი თავის პოზიციას არ ავლენდა, მაგრამ, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას მიერ ჩემდამი ნათქვამი ზუსტად მახსოვს; კერძოდ, მან მითხრა: „თენგიზ ხახვას არ ვენდობი; მან შეიძლება ხელი შეგიშალოს ავტონომიის გასაუქმებლად რეფერენდუმის ორგანიზებისათვის; ამიტომ ასლან აბაშიძეს დავნიშნავ...“ (იხ., დანართი N8).

მალე ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ასლან აბაშიძე რეფერენდუმის იდეის წინააღმდეგ იბრძოდა. პარალელურად, თემურ ქორიძის დახმარებით ცდილობდა, აჭარაში ჩვენს ნაცვლად მისთვის სასურველი პრეფექტები დაენიშნათ. ეს რომ ვერ მოახერხა, დაადგა ავანტიურის გზას: ბათუმში დისლოცირებულ რუს სამხედროებთან თანამშრობლობით აჭარა-გურიის სოფლებში, ასევე, ადიგენში მონახა რამდენიმე ათეული ადამიანი და დაგეგმა აჭარაში არეულობის პროვოცირება. ბუნებრივია, კრემლის გეგმა იყო აჭარის ავტონომიის შენარჩუნება, მაგრამ იმხანად მოსკოვი ამას ვერ შეძლებდა, დასაყრდენი რომ არ ეპოვა აჭარის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში... 1991 წლის აპრილში ბათუმში განვითარებულ მოვლენებში კრემლის აქტიურ ჩართულობას ცხადყოფს შემდეგი ფაქტიც:

1991 წლის 11 და 12 აპრილს სსრ კავშირის ცენტრალურმა ტელევიზიამ რამდენიმეგზის პროვოკაციულად გაიმეორა ინფორმაცია, რომ, თითქოსდა, ზვიად გამსახურდია აჭარის ავტონომიას აუქმებს აჭარელთა ნების წინააღმდეგ; ამიტომაც აჭარაში არეულობაა! არადა, ზუსტად იმ პერიოდში აჭარაში აბსოლუტური სიმშვიდე იყო: აჭარის მთელი მოსახლეობა ზეიმობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას.

როგორც შემდგომ გამოჩნდა, 11-12 აპრილის სატელევიზიო დეზინფორმაციები იყო მოსკოვის ნიშანი, გააქტიურებულიყო მისი აგენტურა საქართველოში ამ მიმართულებით (ეს კომუნისტური იმპერიის ზოგადი წესი იყო: ცენტრალური ტელევიზიით გამოცხადდებოდა „გამოსვლებიაო“ და რამდენიმე დღეში აქციის პროვოცირება მართლაც ხდებოდა მინიშნებულ ქალაქში).

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან შეთანხმებით, კრემლის პროვოკაციის პასუხად დავგეგმეთ ჯერ ზემო აჭარის, შემდეგ კი სხვა რაიონებისა და ბათუმის მოსახლეობის ნების დემონსტრირება 31 მარტს არჩეული საკრებულოების გადაწყვეტილებებით. პირველ რიგში გეგმა გავაცანი ზემო აჭარის რაიონების პრეფექტებს: ბეჟან გობაძეს, შოთა ფუტკარაძესა და სანდრო ბერიძეს. ჩვენ თანამოაზრეები ვიყავით ყველა ძირითად გადაწყვეტილებაში (მოგვიანებით იგივე იგეგმებოდა: ბათუმშიც, ქობულეთშიც და ხელვაჩაურშიც). ჩემ მიერ შედგენილი ტექსტის დახვეწილ ვარიანტს ხელი მოაწერა სამივე რაიონის პრეფექტმა და სამივე რაიონის ყველა საბჭოს თითქმის ყველა არჩეულმა დეპუტატმა (დანართში იხ. ჩემი და სანდრო ბერიძის ხელნაწერი ტექსტები). პირადად მე 15 აპრილს პრეზიდენტის სახელზე ოფიციალურად შევიტანე წერილი რეფერენდუმის ჩატარების თხოვნით (წერილის ასლი იხ. დანართში).

ჩვენდა მოულოდნელად, 1991 წლის აპრილის პირველ ნახევარშივე მერაბ კოსტავას საზოგადოების ბათუმის ორგანიზაციამ, კერძოდ, ქ-ნმა სვეტლანა კუდბამ[25] ბათუმის ბულვარში დადგა კარავი და ბ-ნ ზვიადთან და ჩვენთან შეთანხმების გარეშე დაიწყო აქცია აჭარის ავტონომიის მოთხოვნის გაუქმებით. ბევრი აწერდა ხელს, მაგრამ ამ ფაქტმა ნეგატიური პროცესის ფორსირებაც გამოიწვია (გააქტიურების საბაბი მისცა კრემლის მიერ მართულ მცირერიცხოვან ჯგუფებს, რომლებიც კონსოლიდირდნენ ასლანის გარშემო). ჩვენი კატეგორიული პოზიცია იყო მშვიდი დინამიკით მიღებულიყო კანონი რეფერენდუმის შესახებ და შემდეგ, 26 მაისს, ჩატარებულიყო რეფერენდუმი აჭარის მასშტაბით აჭარის ავტონომიის მიზანშეწონილობის თემაზე. ავტონომიის გაუქმების მოთხოვნის გადატანა ქუჩაში ხელმოწერების შეგროვების ფორმატში კრემლს საფუძველს აძლევდა, შეტევა განეხორციელებინა აჭარაში რეფერენდუმის იდეაზე.

დღეს, 2019 წლის გადასახედიდან ვამბობ:

1991 წელს ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების პრეფექტებმა (ბ. გობაძე, შ. ფუტკარაძე, ს. ბერიძე) და ახალარჩეული საკრებულოების დეპუტატებმა თავიანთი ხელმოწერებით შექმნეს ზემო აჭარის ქართველთა ეროვნული ღირსების წარმომჩენი ისტორიული დოკუმენტები: გამოხატეს რა მოსახლეობის ნება, გაუქმებულიყო ქართველთა ავტონომია საქართველოში. ისინი, ჩემთან ერთად, ასევე ითხოვდნენ, ავტონომიის გაუქმებამდე, საქართველოს სხვა რაიონების მსგავსად, პირდაპირ დაქვემდებარებოდნენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას.

ხალხის ანალოგიური განწყობა იყო

გაგრძელება გვ. 12

შეხვედრა დიდ მწერალთან



კონსტანტინე გამსახურდია, უძველესი კოლხურ-იბერიული ხასიათ-ჟინ-შემართების და სრულყოფილი, სიმართლის ნებისმიერი დროის მწერალთაგან, ბევრად განსხვავებული ნიჭით – უფლისმიერობაა და მისტიკურ-მითოლოგიური უტეხი მცნების, უსაზღვროდ შეუვალი ნაღდქართველური ზნეობრივი გენის ჭეშმარიტი წმიდანური გაგრძელებაა...

გავა ჩვენი უბერებელი პლანეტის ათასეული წელი და ამჟამად მოქმედ აღმსარებლობებს კოსმიური უფლისმიერობით ჩაენაცვლება ზეკანონებიდან გამომდინარე, დროისთვის მონათესავე რელიგიები, რომლებიც სიახლე ცივილიზაციათა და ვარსკვლავეთის ურთიერთგავლენით მიახლოებითი რწმენითი სახე იქნება; ხოლო განუმეორებელი ხელოვანნი: შოთა რუსთველი, ვაჟა-ფშაველა, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც უმაღლესთა შორის გენიის სრულყოფილებაა, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი და სხვა რამოდენიმეთ უნიკალური ქმნილებანი, ჰომეროსისა არ იყოს, მარადიულობას გადაბარდება. ადამიანში თუ რამე ამაღლებული და დიადია, სულ-გონ-გულ-ნიჭიდან დაწყებული, მაშინ ბრძენნი იტყვიან, შემოქმედ უფალია მასში დავანებულიო...

გენიის მაღალი შემოქმედებითი აზროვნება, ჭეშმარიტ-ზნეობრივი მიახლოებაა მომავლის წმიდად-უმდიდრეს უსასრულობასთან, რითაც ქვეყნიური მთლიანობის ტოლფარდობაა...

როგორც ხელოვნების მუზეუმებში, საკვირველ დარბაზ-განძთსაცავში შეღწევა სულიერი ბედნიერებაა, ასევეა ბატონი კონსტანტინეს ცხოვრების ყოველი ისტორიული მოვლენების ხილვა-წაკითხვა... ერთგან კონსტანტინე ბრძანებს: ჩვენ, გამსახურდიები, აზნაურები გახლავართო!. ამ შემთხვევაში, საკმაოდ მოკრძალებულია მწერალი, რადგან ნებისმიერი გენიალური ხელოვანი თავადზე მეტი გახლავთ და საეკლესიო პირებზეც ფრიად ზეაღმატებული, რადგან შემოქმედი ღმერთია მასში დავანებული...

სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის სრულ კურსს ვამთავრებ, მალე პროფესიონალი მხატვარი გავხდები. რამდენიმე წელია, ნათელ მიზნად დავისახე ლეგენდარული მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას საცხოვრებელ-შემოქმედებითი კერა, კოლხური კოშკი დავხატო, მისივე შიგნითა ეზოდან დანახული. შემოდგომის მზით გასხივოსნებული კვირა დღეა. დილიდანვე მოვემზადე. დაახლოებით თემას, მოტივს როგორც მიესადაგება, იმდაგვარი სასურათე ფორმატი ავირჩიე. „ეტიუდნიკი“ მხარზე გადავიკიდე და ქათქათა, თეთრი სახატავი ტილოთი გავემართე ურთულესი ამოცანის შესასრულებლად. დღეს ქარი არცერთი მხრიდან არ ქრის და ედემის ბაღში მგონია თავი, წყნარი ამინდია, მზიანი, საამო ნატვრას მოყოლილი...

მე, როგორც სენაკელ-ძველსენაკელს, პლენერზე მუშაობისას ძვალსა და რბილში გამჯდარი მაქვს შიშნარევი ფიქრები აღმოსავლეთის უძლიერესი, სულის შემძვრელი ქარისა...

სხეულითა და სულ-გულ-გონებით გარინდული ვდგავარ კოლხური კოშკის ზღაპრისმიერ კარიბჭესთან და ვერ გადამიწყვეტია გვერდით ბოძზე, ელექტროზარის ღილაკზე თითის დაჭერა; ვინ იცის, როგორ პასუხს მივიღებ. ამ დროს მარცხენა მხარეს მეზობლის რკინის კარი მოულოდნელად გაიღო და დიასახლისის საცრით ხელში, მსახიობი თათია ხაინდრავა გამობრძანდა, ბატონი კონსტანტინეს დისშვილი. პირადად დიდი ხანია, ვიცნობდი, რუსთაველის დრამატული თეატრის შესანიშნავმა მსახიობმა, ზეინაბ ბოცვაძემ, ქართული კინოს ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, ხელოვანთა შემოქმედებითი საღამოს შეხვედრაზე გამაცნო; სუფრასთანაც ვმსხდარვართ ერთად და სათნო თათიას სადღეგრძელო რომ წარმოვთქვი, თხრობითი ტექსტის თუ ლექსის კითხვისას თვითმყოფადი ხმა მომნუსხველი ინტონაცია თავისი შერბილებული მხატვრული საამო ტონალობით აგრე საინტერესოდ გავურჩიე და აღფრთოვანდა მსახიობი, სახის მხიარული გამომეტყველებით მეუბნება: – ბატონო რეზო! ერთხელ გალაკტიონმაც იგივე მითხრაო. თათიასგან ყოველივე თქმული ჩემთვის დიდი ქება გახლდათ. ადამიანის გული ზღვაა და მაინც გამკრა ცისფერმა ხმამ, განსხვავებული ხელოვნების გამონათების ხილვა რომ დამასწრეს. თბილად მივესალმეთ ურთიერთს და: – საით გაგიწევია, მხატვარო? – მეკითხება.

– თათია მშვენიერო! საგამოფენოდ ბატონი კონსტანტინეს კოლხური კოშკის დახატვა მინდა-მეთქი. წინადადება როგორც კი დავამთავრე, უმალ ჭიშკარი გააღო.

– შემოდი, გენაცვალე, სადაც გინდა დადექი და ხატეო. სიხარულით აღვსილმა მადლობა გადავუხადე უკეთილშობილეს მსახიობ ქალბატონს, შექებითაც შევამკე და ღიმილით გავემართე ქვითკირის თეთრ გალავანთან, დიდი, ბებერი ხის ქვეშ. ჩრდილოვან ადგილას შევჩერდი, „ეტიუდნიკი“ გავმართე, სახატავი ტილო დავაყენე და დავიწყე ნანატრი კოლხური კოშკის მთლიანი ხედის ხატვა. ამასობაში ეზოს ბინადარი ულამაზესი შველი, სასიამოვნო სიზმარივით გამომეცხადა და მშვიდი სიფრთხილით მომიახლოვდა, წინ დამიდგა და ღვთისნიერი ნდობით მიყურებს. ბატონი კონსტანტინეს შინაგანი სამყაროს იდუმალ განწმენდილი სივრცე დაჰყვება ამ ბუნების სიმდიდრე არსებას...

ვფიქრობ, ვოცნებობ და ვხატავ ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის. ამასობაში დრო გადის სანუკვარი, გარემოსთან შედარებით დაძაბული. გარკვევით ვამჩნევ, კოშკზე მიდგმულ გემივით სახლში, ფანჯრებს შიგნით, ადამიანთა ლანდები მოძრაობენ. სხვადასხვა ხეხილით გაშენებულ ეზოში საოცარი, მონასტრისეული სიწყნარე და სიმშვიდეა. მხოლოდ ნაფერები შველი მოძრაობს, ზოგან მწვანე, ნორჩ ბალახს წიწკნის. ეზოში ნელი ნიავიც არ ქრის, თითქოსდა ეკლესიის საკურთხევლის სუნიც სუფევს ყველგან. ცაზე გუნდებად ბეღურების მხიარული გადაფრენაა და ალვის ხეებს მარდად გადაუვლიან. კოშკის ვეებერთელა ჭადრების ჩრდილთ გარემოში კი, თეთრი, ცისფერი მტრედები ლაღად დაფარფატობენ. ტილოზე შეუჩერებლივ ფუნჯ-ფერებით ვწერ. ქართული ეროვნული აზროვნების მოვლენა, იდუმალ შემოქმედი, ბატონი კონსტანტინე, დაწრიტა და დალია თავის მიერვე ხატულმა უძლიერესმა ნაწარმოებებმა, ინდივიდ-თვითმყოფადმა ეპოქალურმა მძაფრხასიათიანმა გმირებმა და შეეწირა კიდევაც განუყრელ ღვიძლ პირმშოებს. ვუმადლოდეთ უფალს, მათმა სიდიადემ და უზომო მაღალმხატვრულმა ემოციებმა მაესტრო ჭკუიდან რომ არ შეშალეს. მაგრამ უფსკერო, წარმოსახვების მისტიკოს-მშფოთვარე მოვლენა შემოქმედი, თანამედროვე მწერალთაგან მკვეთრად განსხვავდებოდა, ხშირად უცნაურ ხასიათსაც ამჟღავნებდა, რომელიც უზარმაზარი ნიჭ-ბუნების რხევისმიერობა გახლდათ...

ოდითგანვე, დედამიწის რელიგიათ სვლათა კვალი, ოქროს გუთნის ხნულივით გავლებული იყო მწერლის სულ-გონებით აზროვნებაში, რათა, წინასწარმეტყველი მოგვივით, ყველა მათგანი სწამდა და ცამდე მართალი იყო: პლანეტის უმთავრესი აღმსარებლობებიც რომ ეწამა, არც გამიკვირდებოდა, რადგან ნებისმიერი მათგანი უზენაეს კოსმოს-უფლის პირმშოა და ყოველივე ამდაგვარი რწმენით მართალი ვარსკვლავითობაა: დიდმა მოაზროვნე მწერალმა თუ ძალიან გაგვასწრო, რა მისი ბრალია;

ლიტერატურული თხრობა, ძერწვით წერას, შინაგანი გემოვნებით, დამყოლ გამორჩეული ენა-სინთეზს, მომნუსხველ სტილს; გენიისმიერი წარმოსახვების ნიჭს ფლობდა; მათივე, ზეციურ-წამებული ხელოვანი... ნაწარმოების მოქმედებათა წერისას, ფაბულათა სიმდიდრე, ურთიერთშედარებათა და ცოცხალთ ლეგენდად გარდასახვის უებარი ოსტატი გახლდათ. ჩანაფიქრის, სიღრმისეულ მრავალ რელიგიური აზროვნების ლაკონიურ-ჰარმონიულობა, მოულოდნელ ფერთა კოლორიტ გამაზე საკვირველ გაედინება, რითაც ქმნილებათ, გენიალური კლასიკოსი თუ თანამედროვე მოდერნისტული უდიდესი ფერმწერლების დონეზე ავითარებდა და ყველგან ტიციანისეულ-ფერადოვან სულ-ხორცს ასხამდა: უფრო მეტყველი გამოხატვისთვის მათაც ჩამოვთვლით. პაბლო პიკასო, ამედეო მოდილიანი, ანრი მატისი, აღორძინების ხანის სანდრო ბოტიჩელისეული, რეფორმატორები, ხუან მირო, ჟორჟ ბარაკი, და ვასილი კანდინსკისაც გახსენებს. ეგვიპტური საოცრება სფინქსივით, წინმსწრაფი მზერის, წარსულის, აწმყოს თუ მომავლის ათასწლეულთა სინთეზური ხედვის სტილ-ხატვაა, ღრმა ფილოსოფიური აზროვნებისა, და ფონად, ღვთიური საკრავ ორღანოს ქართული კლასიკური მუსიკა რომ გასდევს. ბოლოს ვიტყვი თამამად, თავდადებული მამულიშვილობა და ჯანსაღი სისხლსავსეობა, უვნებელი პატრიოტიზმი; უთუოდ თანაბარია, დიდი ქართველი გამორჩეულ ბაგრატოვანთა მეფეებისა და თავადვე პატრონ ჭყონდიდელია შეუდარებელი. აქვე უნდა ორგანულად შევასისხლხორცო ის აზრი, რომ თემის აღწერისას, ქვეყნიერების საოცრებათ, იმიტომ ვიახლოვებ, რათა ზედმიწევნით მწამს, ყველა კლასიკურ შედევრში სამყაროს უფლის წმიდა ხატია ჩაბრძანებული...

საინტერესო და აზრიანი ფიქრებიდან, ისევ სურათზე შექმნილმა ფერწერულმა სირთულეებმა გამომიყვანა და ვხედავ, სასახლის აღმოსავლეთით ჩემს მხარეს, საფრანგეთის ასაკოვანი, მეფის კარდინალივით, კონსტანტინე ბატონი, მოულოდნელად ნელი ნაბიჯით გამობრძანდა, სუსტი საშუალო ხმელი ტანაღნაგობის, გაკრიალებული ცისფერი, იაპონური ხალათით და თავზე კოხტად მოხურული, შავი კახური ქუდით; თითქმის უძრავი, კოლხური უძველესი, ჩაჟამული თეთრასფერი სახით. დინჯად და დაკვირვებით მიყურებს, უმალ ხატვა შევწყვიტე და გაოგნებული ვდგავარ, გულმკერდზე მარჯვენა ხელმიდებულმა, წელში მოხრით, ძველოდიშურად უხმოდ მივესალმე – მორიდებით. რა გვარისა ხარ, ყმაწვილო! თითქმის დაჭიმული ხმით დამიძახა. ადამია გახლავართ, ბატონო! მივუგე. გასაგებია! წარმოთქვა და კოშკის ჩრდილოეთის დიდი კარიდან სახლში მოციქულივით შებრძანდა. ჩქარი მანერით ვმუშაობ. აწ კი, ჩემზეა დამოკიდებული, თუ საჭირო იქნა, დამამთავრებელი, ფერ-ლაქების ფორმათ-ხაზების დროულად მოხმობისა... შემდეგ ვხედავ, სამუშაო დღე, საგრძნობლად იწურება; უცილოდ ღვთიურმა მასპინძლებმა იგრძნეს მოახლოებული დრო, ხატვის

←

დამთავრებისა და ქალბატონი მირანდა, მეუღლე დიდი მაესტროსი, წინ თეთრი, ხალათ-აკრული, მოვარდისფრო ყვითელფოთლებიანი, თავსაფრით და წმიდანური, სანდომიანი მზერით ჩემსკენ მოდის, მომიახლოვდა, თბილი ღიმილით მომესალმა და სადილზე წამობრძანდით, ბატონოო! კონსტანტინე გეპატიჟებათ: გთხოვთ, მოხუცს არ აწყენინოთ! დიდი მადლობა, ქალბატონო მირანდა! ეხლავე მოვრჩები მუშაობას, ავალაგებ ხელსაწყოებს და თქვენთან გამოვცხადდები-მეთქი. ჩემსას უკვე ყველაფერი მოვაწესრიგე და უმალ, კოლხური კოშკისკენ წამოვედი, ულამაზესი შველი არსად ჩანდა. „ეტიუდნიკი“ გარეთ, სახლის კედელს ფრთხილად მივაყუდე და ნახატი-ტილო შესასვლელ კართან, ნათელ ადგილას დავდე. ამ დროს კონსტანტინე ბატონი, წინასწარმეტყველ მოგვისმიერი სვლით დარბაზიდან გამობრძანდა; დინჯად, თითქმის უხმოდ მომესალმა, ყოველგვარი ღიმილისა და მიმიკის გარეშე, მშრალი, ცივად აწეული წარბებით და გამომცდელის მზერით სურათი დაათვალიერა, ცოტა ხანს მდუმარე მოციქულივით იდგა; შემდგომ, მხოლოდ ერთი სიტყვაღა თქვა, კარგია! შეტრიალდა და შინ შებრძანდა. მე არ დავბნეულვარ: ქალბატონი მირანდა მაჩვენებს, საით წავიდე; ელიფსური უზარმაზარი, წაბლისფერი მაგიდის თავთან, სამხრეთით ფანჯრების მხარეს მიმითითა. ჩემთვის ცალკე იყო სუფრა ოთხკუთხედ საფარზე გაწყობილი; მეორედ გამიმეორა, აქ დაბრძანდითო! მეც ჩვეულებრივ დავჯექი და დარბაზში გაფაციცებით ვათვალიერებ სურათებით და ფოტოებით ექსპონირებულ კედლებს, ერთ ადგილას ლადო გუდიაშვილის გრაფიკული სურათი, პარიზში მოღვაწეობის დროინდელი, საკურთხევლის სანთელივით ციმციმებდა; რაც მთავარია, ჩემთვის სალოცავი ხატივით ვუმზერ, პროზის – აზროვნების და ქართული პატრიოტიზმის ჩაუქრობელ შუქურას – ლეგენდარულ ცოცხალ პიროვნებას.

ყმაწვილო! ღვინო გაიხსენი, რომელიც გნებავდეს. სამი ბოთლი ერთად იდგა შეჯგუფებული: საფერავი, კახური და ტიბაანი. მე ტიბაანი ვირჩიე, უჩუმრად გავხსენი და დავისხი ბროლის თხელ ჭიქაში. თვითონ შეუდარებელი კლასიკოსი მაესტრო, მაღალ ანტიკვარულ მაკაგონის ხის ფიგურებიან-ორნამენტით შემკულ სკამზე იჯდა. გვერდით, იატაკზე, თუთიის თუნუქის ფართო და ღრმა ჭურჭელი ედგა მცირედი წყლით. მრავალი შედევრის ავტორი, უზომოდ ნაშრომ-ნაჯაფარი, არ გახლდათ ჯანმრთელად, ყოველ მოძრაობაზე ემჩნეოდა, რომ ავადმყოფობდა.

კონსტანტინე გამსახურდიას პროზას; როდესაც ხარ მოაზროვნე ინტელექტუალური მკითხველი, ღრმად გრძნობ, განიცდი, გონებრივად გამდიდრებს და ზეციური სიმაღლეებისკენ წვდომებს განგაცდევინებს. ურთულეს-ღვთიური განძია, ჩვენდა ბედად აღმოჩენილი...

დავუბრუნდეთ საოცრებათა დარბაზს:

ჩემი მენიუ ამდაგვარი გახლდათ: ფაიფურის ლამაზ თეფშზე პატარა ნაკვეთი ღომი იდო, სულუგუნჩახარშული; მეორეზე, მცირე, დაჭრილი

კონსტანტინე გამსახურდია :

"როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც კი ვერ გაამარჯვებინებს მას."

მეგრული ხაჭაპური. ცოტად და მოკრძალებით ორივეს ვეახელი. ამჟამად ჩემთვის მთავარი იყო, უფლის მადლით თუ შედგებოდა, ოცნებად ქცეულ ბატონ კონსტანტინესთან მოკლე საუბარი. დაისხი ღვინო! წვრილი, ავადმყოფური ხმით შემახსენა და ფუჟეროლი ასწია, რითაც სივრცე უჩვეულო მოვლენად შეივსო და, საქართველოს გაუმარჯოს! მოკლედ წარმოთქვა. ფეხზე არ ადგე! ისე მიირთვი! თითქმის ბრძანა. თავის თეფშს დასცქერის, ისე მეკითხება, ბინა საკუთარი თუ გაქვს, ყმაწვილო?! არა, ბატონო, ნაქირავებში ვცხოვრობ. ციგანი მთავრობა! გაღიზიანებულმა ჩაილაპარაკა. რომელიმე თემაზე საუბარს მეგრულად რომ დამიწყებდა, ჩემი იმავე ფორმით პასუხი არ მოსწონდა. საინტერესო ისტორიაზე კითხვები ოდიშურად რომ დავუსვი, წარბებშეკრულმა მაესტრომ, ქართულად გამცა პასუხი. მასპინძლისგან ძალიან საინტერესო და ღრმად განსხვავებული ხასიათ-განწყობილება ვლინდებოდა... ბატონი კონსტანტინე, როგორადაც ხალხი ახასიათებდა, ზუსტად ის ბუმბერაზი, ოდნავ ურჩი პიროვნება, მრავალფორმიანი ფსიქოლოგიური თვისებების პორტრეტი იხატებოდა ჩემს წინ. მეორედ თუ მესამედ კვეთილი მორალური მზერით რომ გადმომხედა, თითქოს შორეული საქართველოდან სევდით მზირალმა: უმალ გენიალური ფილოსოფოსის, ვოლტერის ფიგურული ქანდაკება წარმომიდგა თვალწინ. შემდეგ მთვარისეული შენელებული სვლა სითბოთი გაიხსნა და მეკითხება: ჩემი პატარა შველი თუ მოგეწონა, ყმაწვილო? ძალიან! ულამაზესია, ანგელოზის თვალები აქვს, ღიმილით მივმართე. ნათქვამი ესიამოვნა და გაეცინა კიდევაც. თხელი ლოყები ჩაეკეცა და ქვედა ყბამდე მუქმა ხაზმა გაირბინა, თვალები გაუმხიარულდა და ჩემთვის სრულიად სხვა განწყობილების მწერალ პიროვნებად გარდაისახა. მეამა მაესტროს მაგ სახის განწყობილების ხილვა.

ნებისმიერი მდგომარეობისას განსხვავებული აზრ-წარმოდგენები არ გასვენებს: მგონი არაა საჭირო, მწერალს რაც კი შეუქმნია, უფლის მეშვეობით, მის იდუმალ ნიუანსებზე დაუსრულებლად წერო და მეცნიერულად განიხილო: მაშინ ბევრად მეტი ლიტერატურათმცოდნეობის წიგნები შეიქმნება, ვინემ თვით ავტორისა, რომელიც აზრთ-ფილოსოფიის იმდაგვარ სიღრმისეულ უტევობას ატარებს, უსასრულობის გენიის, სულიერ-გონებრივი საგანძური, რომ უმჯობესია, გრძნობათ საუფლო მიუწვდომლობის მუდმივ მეხსიერებაში მდუმარებდეს; ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდასი“ და ლუდვიგ ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“, მიქელანჯელოს „დავითი“, პრაქსიტელის „აფროდიტე“ ან „ნიკეა“ და „ვენერა მილოსელი“. დარად მზე და მთვარე-ვარსკვლავებისა... დიდი ხელოვნება, კლასიკური თუ მოდერნისტული, იდუმალებიდან იბადება და უხილაობაში თითქოსდა მიიპარება. თავისი კოსმოსური უკიდეგანო სიმდიდრე თვისებებით. მერმე წრიულად, უჩინარივით, ისევ უკან გვიბრუნდება და აქაა საოცრება ზეციური სიმდიდრე ხელოვნების, ბოლომდე ჩაწვდომა, გაგება-შეგრძნების შეუძლებლობა. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანიც“, ოცდამეთხუთმეტე საუკუნეშიც, იდუმალ მეცნიერულად შეუსწავლელი იქნება. განა უფალს და მის შემოქმედებას ბოლომდე ჩავწვდებით ან გავუგებთ? ჩემი ბოლოთქმაა, შემოქმედ გენიათ, სივრცის უხილაობის სახეგანუზომელი ფონდებიდან ჩამოაქვთ აზროვნება-მშვენიერება, რომელსაც იდუმალების საბურველს ბოლომდე ვერ აშორებს და ისევ აქაა, შედევრ ნაწარმოების ხილულობაში ჩამობრძანებულის მიწიერი უძლურობა, რომელიც უსასრულობიდან მარადიულობაში, ექსპონატ-ქმნილების სახით განსულიერდა.

სივრცობრივი სიმდიდრის მიუწვდომლობა, რომელიც გენიის მიერ შემოტრიალდება ჩვენსკენ, ის ნაწილობრივ მაინც იმქვეყნიურია.

კონსტანტინე ბატონო! ღვინისგან ოდნავ შეთამამებულმა დაბალი ხმით მივმართე: სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის დამამთავრებელ – სადიპლომო ნამუშევრად ფერწერული ტილო-სურათი, თქვენი პორტრეტით მინდა შევქმნა და გამომშვებ კომისიას წარვუდგინო. ნებას თუ დამრთავთ, კონსტანტინე ბატონო, თითქმის მორჩილად შევეხვეწე; მხოლოდ სამჯერ შეგაწუხებთ, პორტრეტის ჩანახატების შესაქმნელად, თქვენთან მოსვლით-მეთქი. არა! ყმაწვილო! შეუძლებელია! მოჭრით გამცა პასუხი. მერმე წყვეტილი სიტყვებით წარმოთქვა: ქეთევან მაღალაშვილმა მთხოვა; ახალი ჩამოსული იყო პარიზიდან და ნატურაზე ორჯერ ვეჯექი მხოლოდ: კოლია კანდელაკთან ერთხელ, რომელიც დიდი მოქანდაკეა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია გაგაცნოთ ის საინტერესო მოგონებები, რომლებიც მაკავშირებს ბატონ კოლია კანდელაკთან.

კვირა დღეა; ისვენებს სამხატვრო აკადემიის უხუცესი პროფესორი, ქანდაკების ფაკულტეტის დეკანი და შემოქმედებით საკუთარ, უზარმაზარ სახელოსნოშია ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე. მიუხედავად ყველაფრისა, დაძაბული, შემოქმედებითად თავდადებით მუშაობს. ბატონ კოლიასთან გამოსასვლელ დღეებში ხშირად დავდიოდი, რადგან შეყვარებული ვიყავი მოქანდაკის ნებისმიერ ნაძერწ ქმნილებაზე. ბევრს გინახავთ ალბათ აკაკი ხორავას ბიუსტი, „იმერელის“, „გენერალ ტოლბუხინის“ და მრავალი პორტრეტი შედევრები: ვზივართ პატარა მაგიდასთან და ჭადრაკს ვთამაშობთ. რომ მოვუგებდი, სასტიკად მოეღუშებოდა სახე და მოწითალო, მხრებამდე ჩამოყრილი თმებიდან მომწვანო თვალებით დემონივით იყურებოდა. როგორც კი მომიგებდა, მეუღლე ქალბატონ ჟენიას, უმალ უკანა ოთახში მოფუსფუსეს შესძახებდა, წარმოშობით რუსი, სანქტბეტერბურგელი გახლდათ; მხიარული და კთილშობილი ადამიანი ჟენია! მოვუგე რეზოს! ჩქარა კონიაკი გამოიტანეო! მეც ძალიან არ განვიცდიდი ბატონ კოლიასთან წაგებებს. ერთხელ დიდი მოქანდაკე თავის

გაგრძელება გვ. 13

ლიტერატურული გვერდი

ჯემალ შონია



რომ არ ეხატოს...

ვდგავარ შუქივით
მაგ შენს თვალებთან,
უნდა ტკივილის ბნელი გავთელო...
ამ მიწას რაღა შემაყვარებდა,
რომ არ ეხატოს ზედ საქართველო...
სინათლის თაყვანს ისევ ვეცადე,
უნდა დაგითბო ფიქრთა უბანი...
შემაყვარებდა რაღა ზეცასაც,
რომ არ ეხატოს ცაში უფალი.

ეს დედამიწა

დგახარ უსაზღვრო სივრცის
საზღვრებთან
და გზას გაჰყურებ,
მარად უხედნელს,
ეს დედამიწა ყველას გაგვსრესდა,
მას ზეცა რომ არ ამსუბუქებდეს.

მაინც ჩერდება დროის მარხილი
და სილაჟვარდე ვეღარ გვიტაცებს,
რადგანაც ბელტი,
გულზე დაყრილი,
მძიმეა თვითონ დედამიწაზე.

შენს საპოვნელად...

არ ისმის ხნულში
მარცვლის ფაჩუნი,
აღარ შრიალებს ველზე ნათესი...
რა უმწეოა მზე გაძარცული:
ვეღარ გპოულობ
დღის სინათლეში!..

მე უნდა შემძრან ღამის ელდებმა,
მეც უნდა მწვავდეს ბედის იარა;
მარცვალი როგორ აღმოცენდება,
თუ მიწის ბნელი არ გაიარა.

მეც ბედისწერის თხოვნას
შევისმენ,
რომ ერთმანეთთან
ვიყოთ მართლები:
ჰა, სინათლესთან
ერთად ბნელისკენ
შენს საპოვნელად მივემართები...

ცის ნაჭერი

როცა დილა სარბევია ღრუბელთა
და ვერ ვხედავთ მაცოცხლებელ
საფირონთ, –
დავარწყულოთ მაინც
შუქით უბე და
ცის ნაჭერი ჭიდან ამოვაფრინოთ.

როცა სცივა სულსაც
ღრუბლის ველივით,
მოედება როცა წვიმა ალიონთ, –
ცის ნაჭერი, ჭიდან ამოფრენილი,
არ მოვითქვათ სული,
ისე დავლიოთ.

ენგურიდან ფსოუმდე

ენგურიდან ერისწყლამდე,
ღმერთო, ნუღა შემრისხავდე...

ენგურიდან ოქუმამდე,
ეშმაკო, პირს მოკუმავდე...

ენგურიდან ღალიძგამდე,
ფუძევ, უნდა გამიმძლავრდე...

ენგურიდან ტამიშამდე,
დღევ, არ უნდა გამიშავდე...

ენგურიდან კოდორამდე,
მთვარევ, უნდა მოგორავდე...

ენგურიდან ბესლეთამდე,
ძმავ, კეთილად შემხედავდე...

ენგურიდან გუმისთამდე
ცას ლექსს უნდა ვურითმავდე...

ენგურიდან ბზიფის წყლამდე
გზას მზით უნდა გიკირწყლავდე...

ენგურიდან ფსოუმდე კი
მწედ ამ ნატვრას მოუდექი და
ვეფეროთ გვემულ ლანდებს
ფსოუს წყლიდან ენგურამდე...

კიდევ ერთხელ მოგკლავენ...

ჯერ თბილისი არ დატოვო,
აქ გაჩერდი, ილია,
წიწამურის ტყე ბოროტი
ხალხით გაჭედილია...

გამეტებულს, ტყვიანაკრავს
დაგიკრეფენ რომ მკლავებს,
წლების მერე ხიბულაში
კიდევ ერთხელ მოგკლავენ.

მანამ მოგკლეს მაყაშვილთან,
ქაქუცასთან ერთად და
კიდევ ერთხელ, კიდევ ბევრგან
შენი სისხლიც ღვენთავდა.

მოგკლეს ტყეში, გზაში, სახლში,
აგერ, მიტინგებზედაც,
ქართველი კი მაინც ყველგან
ცოცხალივით გეძებდა...

გეძებდა და გპოულობდა,
ძალგიძს ფეხზე დადგომა,
დღევანდელმა ივერიამ
ბრძოლა კვლავ მოგანდომა...

მერე რა, რომ ახლაც დაგდევს
მოღალატის ტყვია და
ერისკაცი ერის შვილებს
უნდა გვიკლან ნიადაგ...

თუნდაც უჩინმაჩინისა
გცმოდა მაშინ სამოსი,
სხვა დროს მაინც გაგწირავდნენ
სადმე საგურამოში.

წიწამურის ტყე არის
თუ ბაზალეთის მდელოა, –
ვაგლახ, ყველგან შერცხვენილი
ჩვენი საქართველოა!..

მაინც არ გტოვემს

როცა თავზემოთ არ არის ძალა
და ნაფოტივით ნიაღვარს ერთვი,
მაინც არ გტოვებს ობლად და
ცალად თავზემოთ მყოფი
ზეცა და ღმერთი.

ნუ გგონია, რომ ეს ცაა მწყრალი,
როცა საშველი არ ჩანს და როცა
ადამიანთა წამღები წყალი
მოედინება გვალვების დროსაც.

ბელა შალვაშვილი

ზვიად...

იმ დაუვიწყარ
წლებს რომ ვიხსენებ. -
ვით ვიფიქრებდი,
როგორ ველოდი,
ათასში ერთხელ
გაგიხსენებდნენ
შენს სათაყვანო
საქართველოში.
„დრონი მეფობენ“
ამა ნათქვამით
წყენა, წუხილი
არა მთავრდება...
ყრმობიდან იმგვარ
შენს თავგანწირვებს
გადავიწყება
ვით ეკადრება?!
მაინც ვნუგეშობ,-
რომ ღირებული
ქვეყნად არარა
არ იკარგება...
შენი საქვეყნო,
დიდი საქმენი
მიმიჩნევია
ამის თავდებად!
ვწუხვარ, არაფრით
არ მეჯერება, -
ვერც ვიფიქრებდი,
არც მოველოდი,
თავისუფლების
რაინდის სახელს
დაივიწყებდნენ
საქართველოში.

2021 წლის მარტი.

იმედის ჯვალო ყოველთვის გეცვას,
თუნდაც სინათლის არც
გერგოს ხემსი,
და თუ შენამდე ვერ მოდის ზეცა,
ღმერთი ყოველთვის გაჩნდება შენში.

ტკივილი ლერწმის

სანამ მომაგნებს მზის სიხალისე,
გულს მანამ ბნელი დუმილი
კენწლავს,
ვერა, ვერა ვთლი სალამურს ისე,
ტანი რომ აღარ ვატკინო ლერწამს.

თითქოს ფასი აქვს ბალახის
ღერის იმას,
რაც მტანჯავს, იმას, რაც მეწვის...
ჰა, სალამური მღერის და მღერის
და არვის ახსოვს ტკივილი
ლერწმის.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

გულისა ჩხაიძე

წვიმაში

(ნოველა ავტორის მიერ დაწერილია 15 წლის ასაკში)

ის მარტოა. მარტოობა ძნელია. ექვსი თვეა, ქმარი მოუკვდა. ის მოხუცია, უძლური, დღე დღეზე აღსასრულს ელის. . . ხმის გამცემი უნდა, ნუგეშისმცემელი. მთელი დღე დაფარფატებს;ხან ძროხასთან არის, ხან ხბოსთან, ხან ქათმებთან. საქმე არ ელევა. ერთი ქალიშვილი ჰყავს, თბილისში ცხოვრობს. იმ ქალიშვილსაც ერთი ქალიშვილი ჰყავს. ზაფხულობით ჩამოდიან, მაგრამ ზაფხული მალე გადის. ბიჭი ომში მოუკლეს. აქამდე ქმარი ჰყავდა. ახლა კი სულ მარტოა. ამ ზამთარს რა გადაატანინებს?! მთელი დღე დაფარფატებს. როცა ჩამოჯდება, მოთქვამს. ტირის შვილს, ქმარს, თავის თავსაც. . .

ქმარი რომ მოუკვდა, ქალიშვილმა შესთავაზა, ჩემთან წამოდიო. თბილისში რა გააძლებინებდა?!თავისი აბიბინებული ეზო ერჩია მწვანედ შეღებილი ჭიშკრით; თავისი პატარა ოდა, რიკულებიანი აივნით– აივანზე ხის სკამლოგინებით. ეზოს წინ რკინიგზა რომ ჩადის, მასზე მატარებლის ჩაგრიალება მთელ თბილისს ერჩია. . . არის მარტო. საქმიანობს და მოთქვამს...

წვიმს, უკვე რამდენიმე დღეა გადაუღებლად. შარაგზაზე მღვრიე ღელეები მიედინება. გუბეებადაც დგას ტალახისფერი წყალი.

– აღათი ბებიაა!– იძახის ვიღაც.

– ვის გავახსენდი ამ თავსხმაში?– ამბობს აღათი ბებია და გასძახებს:

– მობრძანდი!

მერე თავის გაჩენას წყევლის:

– თვალზე გადამეფარა, ვეფერს ვეღარ ვხედავ. ვინაა ნეტაი?

– რომელი ხარ, ნენა?

– თამრიკო ვარ, აღათი ბებია.

– რომელი თამრიკო?დათიეს?

– ჰო, ჰო!

– დედა-დედა, რავა ამოლუმპულა?! რა საქმე გაგიჩნდა ჩემთან ამ ქვეყნის დაქცევაში?

– ისე, ტყულა მევედი, აღათი ბებია.

– მეტი შენ რა გითხრა!

– კი, კი, აღათი ბებია.

– მეიწი აბა, აგერ ცეცხლთან დაჯექი.

სამფეხა სკამი დაუდგა ბუხართან.

– ადრე დაგინთია, აღათი ბებია, ცეცხლი.

– რა ვქნა, შვილო? ზამთარში ამაზე მეტი სიცივეა თუ?წუხელის მოვკვდი კინაღამ, ისე ამაკანკალა.

თამრიკო ცეცხლს ჩააჩერდა. აღათიც გაჩუმდა. ოთახი წვიმისაგან ჩამობნელებულიყო და ნაღვლიანი იერი ედო. კუთხეში მაგიდა იდგა. ზედ ვაშლი ეყარა. მეორე მხარეს იდგა ხის ტახტი. ზედ გობები, თეფშები და ქვაბები ეწყო. ტახტის ქვეშ მჟავე კიტრით სავსე დიდი ქილა მოჩანდა. ისევ ცეცხლს დააცქერდა თამრიკო, უკვირდა, აღათი ასეთი მოხუცია და კიდევ ამდენი შეძლება აქვსო.

– რამდენი წლის ხარ, აღათი ბებია?

– ასის.

– ოჰ, მართლა?

– ოთხმოცის ვარ, მარა პაწაია?

– ეგერ გაზეთში ეწერა, ას ოცდაშვიდი

წლის კაცი. . . .

– არ მითხრა, თუ ღმერთი გწამს!– უნდობლად გააწყვეტინა აღათიმ, – მაგრამ მერე ისევ შემოუბრუნდა გული.

– არა, მართლა?

– კი, აღათი ბებია, კოლმეურნეობაშიც კი მუშაობს თურმე. კერკეტა ნიგოზივითაა.

– რაფერ ახლა აგი, ა?

– რა ვიცი?

– ეიღე, თამრიკო, ვაშლი. მაგი კაი ვაშლია, მარა რა გინდა? ხეზე არ იცდის. ჩამოცვინდა ყველაი ძირს.

თამრიკო ადგა და მაგიდიდან ვაშლი აიღო. აღათი მეორე ოთახში გავიდა.

–დიდუ!აგირაა?გამუუვლიაწვიმას!ვინაა პატრონი? ვინაა გამკეთებელი?ჩემი ქმარი რომ მოკვდა, იმ დღეს მოვმკვდარიყავი, მადლი არ იქნებოდა?

რა უთხრას თამრიკომ?მე შეგიკეთებ სახურავსო?მე ვიქნები შენი პატრონიო?საწყალი კირილე ბაბუაო!მეტი ვერაფერი მოახერხა.

აღათი აწრიალდა: რაით გაგიმასპინძლდე? არ ხარ შენ ჩემი ხშირი სტუმარიო.

ყანაში ჩასასვლელად მოემზადა. თავშალი წამოიხურა. ჭყინტ სიმინდს მოგიხარშავო. თამრიკომ გაიპატიჟა, მე სადაური სტუმარი ვარო, მაგრამ თვითონაც წამოდგა და გაჰყვა აღათი ბებიას ყანაში. ვინ დაგითესა წელს ყანაო? ბიქტორიამ. ფული მივეცი, ტყულაი კი არაო.

ქარსა და წვიმას სიმინდის ღეროები გადაეხარა და ერთმანეთზე მიეწვინა. კარგა ხანს იქოთქოთა აღათიმ. თამრიკომ ტაროები დატეხა, ფუჩეჩი შემოაცალა და ზედ შეატოვა. ისევ სახლში შებრუნდნენ. ბუხარს მიუსხდნენ. თამრიკომ სველი თავშალი მოხადა მოხუცს და ცეცხლს მიუშვირა. აღათიმ აიღო თუჯის ქვაბი, ჩააწყო შიგ სიმინდი, წყალი ჩაასხა და მარილი ჩააყარა. მერე რკინის სამფეხი მოძებნა, ცეცხლში ჩადგა და ზედ ქვაბი შეადგა. მოხუცი რაღაც ფიქრს მიეცა. თამრიკო ტკბებოდა ამ სიმყუდროვით. ეს რაღაც საოცნებო იყო. ჩამობნელებულ ოთახში ბუხარი გუგუნებდა. ცეცხლის ალები გარს უვლიდნენ ქვაბს. კატა ალერსით უსვამდა კუდს მოხუცს. თავშალი აბოლდა.

გარეთ კი წვიმდა.

როცა სიმინდი მოიხარშა, აღათი გაფრატუნდა და ხმელი თხილი შემოიტანა. სულ თამრიკოს ჩაუყარა კალთაში.

– თქვენ, აღათი ბებია?

მწარედ ჩაიცინა მოხუცმა: თხილს კბილი უნდაო. თამრიკოს ურჩია, თხილი და სიმინდი ერთად ჭამე, უკეთესიაო. თვითონ ამოარჩია ყველაზე ჭყინტი და ლოღნა დაუწყო.

უცბად თამრიკოს საშინლად შეებრალა აღათი ბებია. ის მოხუცია.მალე მოკვდება. მერე თამრიკოც დაბერდება და ისიც მოკვდება. თითქოს ახლა გაიგო თამრიკომ, რომ უნდა მოკვდეს. მთელი სიცხადით შეიგრძნო, რომ უნდა მოკვდეს და ეს საშინელებაა.

გარეთ კი ისევ წვიმდა და ქარი და წვიმა სიმინდის ღეროებს ერთმანეთზე აწვენდა.

1963 წელი.

ზვიად გამსახურდია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ

(შემოკლებული ვარიანტი)

დასწყისი გვ. 7

ქალაქ ბათუმშიც და ქვემო აჭარის რაიონებშიც.

რამდენიმე დღის შემდეგ ზემო აჭარის პრეფექტები და მე ზემო აჭარის რაიონების საკრებულოების გადაწყვეტილებებით წარვდექით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინაშე. ზვიად გამსახურდიამ თავისთან დაიბარა, ასევე: ასლან აბაშიძე, თემურ ქორიძე, გურამ ჩიგოგიძე, ნოდარ იმნაძე, აკაკი ასათიანი, დილარ ხაბულიანი, ჯონი ხეცურიანი და ჩვენი თანდასწრებით მოითხოვა, შევჯერებულიყავით ერთ სტრატეგიაზე - ჩაგვეტარებინა რეფერენდუმი აჭარაში. ასლან აბაშიძემ დადო პირობა, დაგვეხმარებოდა რეფერენდუმის ორგანიზებაში[26].

მიცემული პირობის მიუხედავად, ასლან აბაშიძემ, ბათუმში დისლოცირებული სსრ კავშირის ჯარის ხელმძღვანელობასა და საქართველოში რუსეთის იმპერიის სხვა მხარდამჭერებთან ალიანსით, 1991 წლის 22-23 აპრილს დაგეგმა პროვოკაციული მიტინგი რეფერენდუმის, პრეფექტების, ასევე, ნოდარ იმნაძის, გურამ ჩიგოგიძისა და მამუკა კობახიძის წინააღმდეგ (ასლანის მიერ შეკრებილ ბრბოში ასეთი მოთხოვნებიც იყო: დაგვანახეთ რეფერენდუმი! თანამდებობიდან მოხსენით რეფერენდუმი! ვინ არის რეფერენდუმი?)[27]. ასლან აბაშიძის მოკრებილი ბრბო 23 აპრილს დაიშალა; თუმცა, ასლანის ავანტიურამ გაჭრა:

მის მიერვე ორგანიზებული არეულობის „განმუხტვით“ ასლანმა პრეზიდენტს აჩვენა, რომ შეკრებილი აგრესიული ბრბოს დამორჩილება მას შეუძლია და არა - პრეფექტებს თუ მრგვალი მაგიდის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელს... პრეზიდენტის სტრატეგიის იგნორირებით, საბოლოო ჯამში, საქართველოს ინტერესების გაწირვით, ასლან აბაშიძემ თანამდებობა კი შეინარჩუნა, მაგრამ ჰაერში „დენთის სუნი“ დატრიალდა. აჭარაში სიტუაცია საბოლოოდ დაიძაბა 30 აპრილს ასლან აბაშიძის კაბინეტში შეჭრილი ნოდარ იმნაძის მკვლელობით[28].

1991 წლის 22-23 აპრილის ბათუმის არეულობებს, ასლან აბაშიძესთან ერთად, ორგანიზებას უწევდნენ: შალვა ვარშანიძე, იუსუფ ბერიძე, ბადრი მელაძე, ძმები ასანიძეები (შემდგომში დიდი თანამდებობის პირები)[29], ისმეთ დიასამიძე, ნაზი თებიძე; „მუსლიმანთა საზოგადოებისა“ თუ „გარდაქმნის მხარდამჭერი ჯგუფის“ სხვა წევრები. 22-23 აპრილის აქციის შემდეგ ასლანმა პრეზიდენტს შეახვედრა და დაარწმუნა, რომ აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი ითხოვს რეფერენდუმის ნაცვლად აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს[30].

22-23 აპრილის, მით უმეტეს, 30 აპრილს ნოდარ იმნაძის მკვლელობის შემდეგ პრეზიდენტმა რამდენჯერმე გვითხრა პრეფექტებს, რომ 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გადააყენებდა ასლან აბაშიძეს; ასევე, გამოძიებულ იქნებოდა 22-23 აპრილის მოვლენებიც და ნოდარ იმნაძის სადისტური მკვლელობაც.

ნოდარ იმნაძის მკვლელობის შემდეგ ასლან აბაშიძემ გზა მოიჭრა:

ის აჭარის ავტონომიის პირველი პირის თანამდებობას თუ ვერ შეინარჩუნებდა, ციხეში აღმოჩნდებოდა; შესაბამისად, ნოდარის მკვლელობის შემდეგ ასლანი უფრო თავგანწირვით ცდილობდა ზვიად გამსახურდია დაერწმუნებინა, რომ მას თუ გადააყენებდა, აჭარაში ქაოსს მიიღებდა. ეს იყო ფაქტობრივი შანტაჟი.

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ნათლად ხედავდა, რომ ასლანს პრორუსული ძალების ხელშეწყობით მართლაც შეეძლო სიტუაციის დაძაბვა და საქართველოსათვის რთული პროცესების განვითარება, ამიტომ მან ასლანთან დათბობა ამჯობინა, მაგრამ უარი არ უთქვამს რეფერენდუმის ჩატარების იდეაზე; კერძოდ, 22-23 მიტინგისა და ნოდარ იმნაძის დასაფლავების შემდეგ, 8 მაისს, მან სატელევიზიო გამოსვლისას განაცხადა:

„აჭარაში გავრცელდა ინფორმაცია, რასაკვირველია, მტრული წყაროებიდან გამომდინარე, თითქოს მე მსურს აჭარის ავტონომიის გაუქმება და დაუყოვნებლივ მსურს მივიღო ამისთვის ზომები. ეს გახლავთ სიცრუე, მეგობრებო, ეს გახლავთ დეზინფორმაცია. სინამდვილეში, დაწყებული პირველი სესიიდან, როგორც კი გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“ და საქართველოში შეიცვალა კომუნისტური წყობილება, მე ვქადაგებ, რომ ავტონომიის საკითხი, ეს არის სათუთი საკითხი, ეს არის ხალხის გადასაწყვეტი საკითხი, ეს არის მოსახლეობის ნების გათვალისწინებით გადასაწყვეტი საკითხი, კერძოდ, რეფერენდუმით (ხაზი ჩემია - ტ.ფ.). თანაც ხაზს ვუსვამ იმას, რომ ეს უნდა გადაწყვიტოს ხალხმა, კერძოდ აჭარის მოსახლეობამ მხოლოდ და მხოლოდ, და აქ არავითარი დაძალება, არავითარი დიქტატი არ იქნება, არავითარი თავს მოხვევა ცალკეული შეხედულებებისა, ცალკეული პირების პოზიციებისა, თუნდაც პრეზიდენტის პოზიციისა...“[31]

ასლანისაგან მომდინარე საფრთხის შესახებ ბატონმა ზვიადმა დეტალურად მითხრა 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. მოსალოდნელი საფრთხისაგან თავის დასაზღვევად, პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც, ზვიად გამსახურდიამ ამიტომ არ გადააყენა ასლან აბაშიძე და ჩვენ, პრეფექტებს, გვთხოვა, უკეთესი დროისათვის გადაგვედო რეფერენდუმის ჩატარება და გვეთანამშრომლა ასლან აბაშიძესთან.

მე ასლან აბაშიძესთან თანამშრომლობაზე უარი ვთქვი[32] და 1991 წლის ივნისში ჩემი ნებით გადავდექი ქალაქ ბათუმის პრეფექტობიდან[33].

დასასრულს აღვნიშნავ:

მე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს, 1991 წლის მარტიდან ქალაქ ბათუმის პრეფექტს, საკმარისი ინფორმაცია მქონდა აჭარაში არსებულ ვითარებაზეც, ხალხის განწყობაზეც და საგარეო თუ საშინაო საფრთხეებზეც; ყოველივეს გათვალისწინებით, ახლაც ვფიქრობ, რომ 1991 წლის მაისი, ივნისი, ივლისი იყო შესანიშნავი დრო, რეფერენდუმის გზით გაუქმებულიყო ბოლშევიკური რუსეთისა და ოსმალეთის რევოლუციური მთავრობის უკანონო გარიგებით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც ხალხისათვის არასოდეს არ იყო და არც იქნება აუცილებელი სახელისუფლებო რგოლი[34]; ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ აჭარის მუნიციპალიტეტებს ისეთივე ხელისუფლება უნდა ჰყავდეს, როგორიც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებს: ადგილობრივი ხელისუფლება და ცენტრალური ხელისუფლება (ე.წ. ავტონომიის ხელმძღვანელისა თუ გუბერნატორის შუალედური რგოლის გარეშე).

დღეს, 27 წლის შემდეგაც ვფიქრობ, რომ, რომ არა რუსეთისაგან მართული[35] ასლან აბაშიძისა და მისი კლანის დესტრუქციული ქმედება, 1991 წლის ზაფხულში რეალური შესაძლებლობა იყო, წარმატებით ჩატარებულიყო რეფერენდუმი უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიის - საქართველოში ქართველთა ავტონომიის - მიზანშეუწონლობის შესახებ.

დღეს საქართველო რუსეთთან საომარ სიტუაციაშია, ხალხიც აღარ არის ისეთი ერთიანი ეროვნული მუხტით შეკრული, როგორიც იყო 1991 წლის მარტ-აპრილ-მაისში; შესაბამისად, ახლა ნამდვილად არ არის საკმარისი წინაპირობები, რომრეფერენდუმის გზით გაუქმდეს იმთავითვე უკანონოდ შექმნილი აჭარის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი; თუმცა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, არც ოსმალეთის ნანგრევებზე აღმოცენებულ თურქეთს და არც რუსეთს არანაირი ლეგიტიმური უფლება არა აქვთ, ჩაერიონ აჭარის ავტონომიის ბედის გადაწყვეტაში,რამდენადაც აჭარის ავტონომიის საფუძველი - მოსკოვის ხელშეკრულება - გაფორმდასაქართველოს კანონიერი ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე და საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ; შესაბამისად, საქართველოს არც ერთი კანონიერიხელისუფლება არ არის ვალდებული, გაითვალისწინოს უკანონო, მით უმეტეს,საქართველოსადმი მტრულად განწყობილ მხარეთა ანტიქართული გარიგება; ასევე, საქართველოს არანაირი ლეგიტიმური ვალდებულება არა აქვს, შეინარჩუნოს უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რამდენადაც, კავკასიაზე კონტროლის მოსურნე დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების ანტიქართული გარიგებით, 1921 წელს საქართველო მრავალმხრივად დაზარალდა. აჭარის ავტონომიის ბედი მომავალშიც გადასაწყვეტია თავად აჭარის მოსახლეობის მიერ.

https://putkaradze1.blogspot.com/2019/06/blog-post.html?fbclid=IwAR1wg3i4VK0q4BMKsCT5W51wtv9V-khMjKv5-Aua7BzqIpiLhqqCm2MqmJw

ზვიად გამსახურდია - საქართველოს პირველი პრეზიდენტი

დასწყისი გვ. 6

დათ, რას უსურვებდით თქვენს ხალხს?

-მოვუწოდებდი, არ დამორჩილებოდნენ ხუნტას, ებრძოლათ საქართველოს კანონიერი, კონსტიტუციური მთავრობის აღდგენისთვის, რომელიც ქართველი ხალხის აბსოლუტურმა უმრავლესობამ აირჩია. ასევე, ყველა საშუალებებით გამოეაშკარავებინათ ხალხის მტრების სისხლიანი ქმედებები.

-როგორც მივხვდი, ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებთ?

-რა თქმა უნდა, დანებებას არ ვაპირებ.

-არ მოგსვლიათ აზრი, რომ ემიგრაციული მთავრობა შეგექმნათ?

-შესაძლოა, ასეც მოხდეს. არ არის გამორიცხული.

-რას ფიქრობთ გავრცელებულ ინფორმაციაზე, როდესაც საქართველოს ტახტის მემკვიდრემ გიორგი ბაგრატიონმა, რომელიც ესპანეთში ცხოვრობს, საქართველოს მეფობის სურვილი გამოთქვა?

-გულახდილად გეტვით, ამ განცხადებამ ძალიან გამაკვირვა. არ მესმის მან ასეთი განცხადება რატომ გააკეთა. ეს უცნაურია იმ ადამიანისგან, რომელიც წინაპრების სამშობლოში არასდროს ყოფილა და მშობლიური ენაც კი არ იცის.

- და ბოლო კითხვა. თუ კი მოგეცემათ შესაძლებლობა თავიდან დაიწყოთ პოლიტიკური კარიერა, საქართველოსთვის რომელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმირებას აირჩევდით?

-ბუნებრივია, დემოკრატიულ წყობას.

ლევონ აზროიანი,
საინფორმაციო სააგენტო „არმენპრესის“ კორსეპონდენტი.

შეხვედრა დიდ მწერალთან

დასაწყისი გვ. 8-9

ვრცელ სახელოსნოს მათვალიერებინებს: ორსართულიანი თაროებიდან დაწყებული, შედევრ-ქანდაკებებით იყო სავსე. მიმიყვანა ბატონ კონსტანტინეს, მხოლოდ დაწყებულ, ბიუსტ-პორტრეტთან. ძლიერ აღვფრთოვანდი, რადგან შესანიშნავად იყო ხასიათგანწყობილება დაჭერილი და სახის ფორმათა გამოკვეთილი ძერწვა? შეუდარებელი ფრანგი მოქანდაკის, ანტუან ბურდელის გამოქანდაკების დონეზე. აკადემიის პირველ-მეორე კურსის სტუდენტი რომ ვყოფილიყავი, ყოველგვარი მეცადინეობით და მიზანსწრაფვით, ქანდაკების ფაკულტეტზე გადავიდოდი, მაგრამ... რატომ არ დაამთავრეთ პორტრეტი, ბატონო კოლია? გულდაწყვეტილი ვეკითხები. უსათუოდ! რთული ხასიათის კაცია! ერთხელ მოვიდა მხოლოდ, იჯდა ნორმალურად. არცკი საუბრობდა, ფიქრებით ჩემთან არ იყო. ორიოდე სეანსის შემდეგ მეუბნება: აწ, ბატონო კოლია, დანარჩენი შენი საქმისა შენ იციო, როგორც როდენმა, უნატუროდ გამოძერწა, ვიქტორ ჰიუგო, მაგრე იმოქმედეთ თქვენცო: უსათუოდ კაცო! უცნაური პიროვნებაა...

მაგ ნაამბობს როგორ გავამხელდი ბატონ კონსტანტინესთან, მაგრამ დღეს ნათლად მომაგონდა ბატონი კოლიას – სამართლიანი, მართლაც უნიჭიერესი მოქანდაკის – გულისწყრომა. არადა, წარმოიდგინეთ, როგორი ღირსების ბიუსტ-შედევრი გვექნებოდა , გულდასაწყვეტია, რა თქმა უნდა! იმხანად საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობის, ნადეჟდა ბურმისტროვას პორტრეტზე მუშაობდა; მსოფლიოში განთქმული მოქანდაკისგან უფლება მქონდა, სეანსებს დავსწრებოდი. შუადღეა, სახელოსნოს კარი გაიღო და უმშვენიერესი ტანის რხევით შემობრძანდა ულამაზესი, მაღალი ჰარმონიული აღნაგობის ქალბატონი, მიხაკებით ხელში. მოგვესალმა, შინაურულად ხალასად, მოხდენილ-მსახიობურად და მამრობითი სქესის ლომის შეხედულების დიდ მოქანდაკეს უშუალოდ, თამამად ეახლა და თბილი ღიმილით თაიგული გადასცა და ნაიარევივით დაღარულ მაესტროს წითურ ლოყაზე მოკრძალებით ემთხვია. მერმე დაიწყო ზებუნებრივი ქმედებები, მშვენება ნატურა მთლიანად უხილავ სხივებად გასცემდა შინაგან სამყაროს და მოქანდაკეს ალალად სთავაზობდა. ბატონი კოლია ბიუსტთან მუშაობდა უცნაური მიდგომით, არა ჩქარი მოქმედებით და არცა ნელი, რაღაც შუალედური იყო, დემონურთან ახლოს. ჯერ აგურისფერ თიხას ხელის თითებშუა ამუშავებდა, თითქოსდა ავტორისა და ნატურის სულის ჩასახვა ხდებაო. მერმე გრძელი, ვიწრო ტუჩების ცმაცუნით, ზემათემატიკური სიზუსტით, ბიუსტთან მიიტანდა საგანგებოდ ნაძერწს, დასვამდა საჭირო ადგილას და იქვე სიცოცხლე, უმკვრივესი შინაგანი ფორმიდან, სულიერდებოდა. ამდაგვარად ჩვენს წინ მარადიულობა ქანდაკდებოდა.

მართლაცდა უფალმა, თავისი თავის გამოსახატავად ხელოვნება აღავლინა გენია-ადამიანთა მეოხებით...

ორი აკადემიური სეანსის დამთავრების შემდგომ ღირსეული ქალბატონი სევდიანად გავაცილეთ. ბატონი კოლია შუა სახელოსნოში, მარჯვენა მხარ-ხელჩამოშვებული და თმააშლილი, ბიუსტ-პორტრეტის წინ დადგა და შინაგანი ხავერდოვანი ხმით დაილაპარაკა: ბრწყინვალე ქალია... პირადად, არც ღიმილი და აღშფოთება თუ გაკვირვება არ მომგვარა ამ ცოცხალმა სურათმა, რადგან რაღაც რეალურს მიღმა, სრულიად უცხო სივრცეში მოვექეცი.

ახლა კი მოაწია კეთილმა ჟამმა, ბატონ კონსტანტინეზე ვიოცნებოთ და ვისაუბროთ. დროსთან, უფერულ, ბნელ თუ ცეცხლოვან სივრცესთან, ადამიანთა ყველა თვისებასთან, ქარიშხლიან სტიქიასთან, ბოროტ მოვლენებთან, წარსულში ჩამარხულ მტრებთან თუ თანამედროვეთა გახელებასთან მებრძოლ სამაგალითო ხელოვანს, ისევ ვეახლოთ. ალბათ თვითონაც უკვირდა, რომ ასეთი დაიბადა...

შუქნათელი მწერლის ნაწარმოებთა გმირი, რომელიც გამორჩეულ ლიტერატურულ, ისტორიულ, მითოლოგიურ, რელიგიურ, მისტიკურ, ზოგჯერ რეალურ-ირეალურსაც, ასევე სიურეალიზმის აბსტრაქტული თუ ჰიპერრეალიზმის უცნაურ ფორმათ ხილვათა სხეულსაც ფლობს. ყველა მათგანს თავისი დამოუკიდებელი ჩამოსხმული ხმა, ფერთა ჰარმონია, ლაკონიზმი გააჩნია, ნებისმიერთ გამოკვეთილი ხასიათი, ზნე, მთლიანი სხეულის კონსტრუქცია თვითმყოფადი, უფსკეროდ სიღრმისეული სულიერ-ფსიქოლოგიურად ნაძერწი პორტრეტებისა; რითაც უნაკლოდ, ეპოქათ სრულყოფილი ხატვაა, მხატვარ კლასიკოსების, ბრეიგელ-ბოსხისმიერობით: უფრო ღრმად წარმოვიდგინოთ, თითქოსდა ეგვიპტური, მუქი ლურჯი გრანიტის ქანდაკებათ, ფორმა-ხაზთსხმულია; ან, კოლხური უძველესი წელფორმიანი ამფორებივითაა – ტევადი, უხილავ აზრთ უსასრულობისა.

ნუ გიკვირთ და უკადრისად ნურც გაფრთხობთ, მეგობრებო! ზემოთ მოხსენიებული შორეული ვარაუდები; ჩვენი მზის სისტემისა და უსასრულო სამყაროს დროთა სვლა, რა თქმა უნდა, ძალიან სწრაფი და უახლოესია: მხოლოდ ჩვენთანაა ათასწლეულებად აღრიცხული. არაა გასაკვირი, ქართულ თანამედროვეებშიც რომ ელავდეს შუმერული, ხეთური, ქალდეური, პელაზგური, ძველბერძნული, ბაბილონური ატლანტიდების თუ ძველ-კოლხურ-იბერიული სულიერი გრძნობა, განცდა, ნიჭთ მრავალჯერ მოსვლის გენეტიკური სინათლე უხილავი მოლეკულებისა. სამყაროს დრო ხომ, ასტრონომიულ-კოსმოსური ცნებიდან გამომდინარე, სივრცეში თვალის დახამხამებაა:

დავუბრუნდეთ დიდი მაესტროს ისტორიული შემოქმედებით დარბაზს. მერამდენედ მკვეთრი მზერით გადმომხედა მითოლოგიურმა მწერალმა და მეუბნება, თუ გინდა, ჩემს პორტრეტზე მუშაობისას ფოტოებით ისარგებლე, ყმაწვილო! მირანდას მოვატანინებ ალბომს და... საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი, უმალ მართალი პროფესიონალური გადაწყვეტილება უნდა მიმეღო. წმიერი დუმილის მერმე, სამხატვრო აკადემიაში გვეკრძალება ფოტოებიდან ხატვა, თანაც ცოცხალი პიროვნებისა, ჩემო ბატონო! ვუპასუხე და ისევ უხერხული განწყობილება ჩამოწვა.

მეორე სადღეგრძელოთი შენ გაგიმარჯოს! წარმოთქვა მაესტრომ. სახელი არ უკითხავს, მეც ვერ შევკადრე და თავი შევიკავე. მერმე სიზმარივით მიეკარა კოლხურ წითელ ღვინოს და ფუჟეროლი მოშორებით დადგა. ნეტავ როგორი გემოსია ბატონი კონსტანტინეს რჩეული ღვინო? ჩემს თავს საიდუმლოდ ვეკითხები. სადღეგრძელოზე მადლობა მოვახსენე. მასწავლებლებით ხარ კმაყოფილი? სტიპენდიას თუ ღებულობო და მკაცრად გადმომხედა. მასპინძლისეულ ყველა შეკითხვაზე, დიახ ბატონო! სიმართლე მივუგე. შემდგომ ვგრძნობ, უკვე დაიღალა ჩემი ოცნების მწერალ-მასპინძელი და ბატონი კონსტანტინე ვადღეგრძელე. მადლობის ნიშნად თავს ოდნავ შესამჩნევად მიქნევს, შემომხედა და, ლაზერის სხივივით, ჩემს მორჩილ თვალ-სხეულზე კეთილგამჭოლად გაიარა, პირველად ხილულმა მზერამ... მერმე ისევ შევთამამდი და მივმართე, კონსტანტინე ბატონო! თქვენ, ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული, სოფელ ძველისენაკის ორწლიანი დაწყებითი სკოლა გაქვთ დამთავრებული და სოფლელები, დიდ-პატარიანად, ვამაყობთ თქვენით. დიახ, ბატონო! მთელ სოფელს ძლიერ უყვარხართ. მაესტროს კითხვა-წამოძახილი იყო ფრიად ბავშვური, მართლა ვუყვარვარ?! მე კი უხმო, ვაიმეთი?! შინაგანად ჩავიკვნესე: იმდენად, რომ სიტყვიერად ვერ გამოვხატავ, ჩემო ბატონო! დავუმატე და ჩვენში თითქოს გარემო ამინდი შეიცვალაო, შუქთ გამონათობით ღიმილმა მთელ სახე-სხეულს გადაუარა. უფრო მეტად ვასიამოვნებ-მეთქი და ვეუბნები: უსაზღვრო უფლისმიერი ძალა ჰქონია სოფელ ძველისენაკს, ამოდენა გენიოსი რომ გამოგზარდათ და მესამედ ისევ გავაღიმე, უფრო გავაცინე კიდევაც.

ვარსკვლავეთის მრავალმხრივ გადავსებული სივრცე უზომოდ მდიდარია მუსიკით, აზრებით, ფერებით, ფორმებ-ხაზებით, პოეზიით, ფილოსოფია-მეცნიერულ-საოცრება-უხილაობებით. შეუვსებლობაში ინახება მომავალი ცივილიზაციები და რელიგიათ სიახლეები. სავსეობაა უკეთურსიკეთე და სიყვარულით, რომელსაც გამონაკლისნი წვდებიან და ურთიერთკავშირად, უსასრულოდ კოსმიურ-უფლისმიერი სული დანიავობს ყველგან. მომავლის მილიონობით წლებში მაგ სიმდიდრეს პოულობდნენ მწერლები, პოეტები, ფილოსოფოსები, მოქანდაკეები, ფერმწერები-მხატვრები, კომპოზიტორები, არქიტექტორები, ღრმად მოაზროვნე მორწმუნეები, ნათელმხილველები და მეცნიერები: ყოველივე მიუწვდომლობას მიაგნებენ და მოიზიდავენ მხოლოდ გენიალური ნიჭის ადამიანები, უბრალო ადამიანებისთვის მაინც ძნელად მისაწვდომი, მაგრამ მათი სულიერ-გონებრივი ამმაღლებელნი.

დავუბრუნდეთ სასიამოვნო განწყობილებას, გონებით შორს მყოფი მწერალი, გახსნილი სახით, სივრცეს უცქერდა. კეთილი საუბარი და სიმშვიდე ხომ მკურნალია ნებისმიერ შემთხვევაში... ზომიერი გამბედაობა არ მაკლდა, რათა დროულად რომ გამხსენებოდა და ერთი წინადადებაღა მეთქვა, კონსტანტინე ბატონო! ხელისუფლებამ პატარა ბინა-ოთახი რომ მომცეს, თქვენს ერთი-ტელეფონის ზარს შეუძლია-მეთქი. თან უკვე გულღიად და სიამაყით განვაცხადე, რომ კომკავშირელი არა ვარ და მომავალშიც ღმერთმა დამიფაროს-მეთქი. კომკავშირელი არა ხარ, ყმაწვილო? ცნობისმოყვარეობით კითხვა დამისვა და ნდობით აევსო თვალები, საგანგებოდ შემომხედა, თითქოს ეხლა აღმომაჩინაო.

მამაჩემი, კონსტანტინე ბატონო! ათას ცხრაას ოცდაოთხის აჯანყების გამოსვლის მონაწილე გახლდათ. ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით. ბოლშევიკ საშა გეგეჭკორს დაუჭერია და მეამბოხეთა დასახვრეტთა სიაში შეუტანია, მაგრამ ბედად იმ დღეებში ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაია სენაკში ჩამოსულან და მათ გადაურჩენიათ მრავალნიც: ასე უთქვამთ გეგეჭკორზე, რა გიქნია, შე კაცო, მთელი სამეგრელო დაგიხვრეტიაო, შეწყვიტე ეხლავეო! ნაღვლიანად ამოიხვნეშა მაესტრომ, თითები მაგიდაზე დააკაკუნა და სახეზე ზიზღი გამოეხატა. ბაბუაჩემი ნიკო ადამია მაზრის მწერალი გახლდათ, მერე კომუნისტებს გაუკულაკებიათ. კი! მახსოვს ბუნდოვნად, სოფლის ხალხში ნახსენებიდან,.. დაილაპარაკა მწერალმა და თავი დახარა; კოლხური კოშკისეული სიმშვიდე უხილავი დინებით შემოიპარა დარბაზში და მაესტრომ, დაღლილმა, ჩათვლიმა...

ალბათ დასვენების დროა დიდი შემოქმედის, ფიქრმა გამკრა; ასაკოვანი მწერლის უზომო შრომა-გონებრივი; სიცოცხლე-გარემოსთან უმძიმესი

გაგრძელება გვ. 15

ვინ იყო სუკ-ის თანამშრომელი, ვინც 9 აპრილის ექსკლუზიური კადრები ჩუმად გადაილო და სიცოცხლის ჩისკის ფასად მიაწოდა სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ შექმნილ კომისიას...



1989 წლის 9 აპრილს დაღუპულ გმირებს ვიხსენებთ ბევრმა არ იცის, რომ იმ ღამეს კიდევ ერთი გმირი ჰყავდა, უცნობი გმირი, ვინც არა მხოლოდ გადაიღო ორლესული ნიჩბებით ადამიანების უმოწყალო ჩეხვა, არამედ საკუთარი და ოჯახის წევრთა სიცოცხლის რისკის ფასად, ამ საიდუმლო ვიდეომასალის არსებობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ შექმნილი 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, ელდარ შენგელაიას. ის იმ დროს საქართველოს უშიშროების კომიტეტის მეშვიდე განყოფილების ოპერატიული თანამშრომელი იყო მხოლოდ და 4 აპრილიდან მოყოლებული, რუსთაველზე მიმდინარე მოვლენების ე.წ. „მხატვრის სახლის“ კონსპირაციული ოთახიდან ვიდეოზე აღბეჭდვა ევალებოდა. 8 აპრილს, ღამის 23:00-დან ბრძანება მიიღო შეეწყვიტა გადაღება, თუმცა მისი და მასთან ერთად მყოფი რუსი ოპერატიული თანამშრომლის გაყვანა ვერ მოხერხდა და იმ ღამით ოთახში დარჩენა მოუწიათ... ის მამაჩემი იყო - ანზორ იაკობის ძე გოგიაშვილი.

9 აპრილის ღამე დადგა... მთავრობის სასახლის წინა მოედანზე სიხალვათე იყო, რადგან საკმაოდ აცივდა და პლედებში გახვეულ მოშიმშილეთა და ლიდერთა გარდა, ძალიან ცოტა ადამიანი დარჩა ღამის გასათევად... ცეცხლი დაანთეს, რომ ცოტა მაინც გამთბარიყვნენ... სითბომ იმედი გააღვიძა, იმედმა სიმღერა, სიმღერამ ცეკვა... მამამ აიღო ვიდეოკამერა (Panasonic M7 შავი ფერის კამერა, რომელმაც შემდგომშიც ჩემთვის ძვირფასი არაერთი კადრი აღბეჭდა) და გადაღება დაიწყო, თუმცა ნაბრძანები ჰქონდა, შეეწყვიტა გადაღება... თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ მის გულს უბრძანა, რომ არ უნდა გაეშვა ეს ისტორიული მომენტი აღუბეჭდავი... არც მას და არც არავის იმ მომენტში, ვინც მოედანზე სახელდახელოდ აგიზგიზებული კოცონის გარშემო ცეკვავდა და მღეროდა, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რა მზაკვრობასა და განსაცდელს უმზადებდა ბოროტების იმპერია მათაც და მთელ საქართველოს...

...რუს „ოპერს“ ისევ ეძინა, როდესაც ლენინის მოედნის (მაშინ ასე ერქვა თავისუფლების მოედანს) მხრიდან მთავრობის სასახლეს სახანძრო დახმარების მანქანები მოადგნენ... მათ უკან კი ტანკები მოღოღავდნენ... სიბნელეში რკინის ჩაფხუტიანი, ნიჩბებით შეიარაღებული სამხედროები გაკრთნენ... ორი მათგანი სპეციალური ჭოკის გამოყენებით, მხატვრის სახლის მეორე სართულზე, იმ ოთახის გვერდით, სადაც მამა იმყოფებოდა, მდებარე აივანზე აძვრა და გადმოფენილი ქართული სამფეროვანი დროშა ჩამოგლიჯა... მათ რომ მამაჩემი შეენიშნათ, რომელიც ჩაბნელებული ოთახის სიღრმიდან აგრძელებდა ვიდეოს გადაღებას, მამას ალბათ ტყვია არ ასცდებოდა... ამიტომაც იყო თავდაპირველი კადრები ბუნდოვანი და გამოღებული ფანჯრებით რამდენადმე დაფარული... ამ ვიდეოში ისმოდა მამაჩემის გამწარებული ხმაც „смотри, смотри, как бьют лежащего...“ შემდგომში, როდესაც ეს მასალა ელდარ შენგელაიას და გოგა ხაინდრავას ფილმში მოხვდა, ხმა დაფარეს...

...დასკვნა, რომ მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევა განხორციელდა სწორედ ორლესული ნიჩბების გამოყენებით, რომ მიტინგი იყო მშვიდობიანი, რომ არავინ დასხმია თავს სამხედრო პირებს და რომ არავის უცდია შეჭრა მთავრობის სასახლეში, სწორედ ამ ვიდეო ფირის წყალობით გახდა შესაძლებელი. ამ ვიდეომასალით გაქარწყლდა გენერალ როდიონოვის ბრალდებები მომიტინგეთა და ლიდერთა მიმართ, რომ ისინი დაესხნენ თავს სამხედროებს და სამხედროები იძულებულნი გახდნენ ძალა გამოეყენებინათ! რომ არა ეს ვიდეო, მთელი პასუხისმგებლობა მომხდარზე და ადამიანთა გარდაცვალებაზე ე.წ. „არაფორმალურ ლიდერებს“ დაეკისრებოდათ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მათ საბჭოთა ხელისუფლება სამაგალითოდ დასჯიდა და ვერც ვერავინ გაუწევდა წინააღმდეგობას! ყველას გვახსოვს კომენდანტის საათის დროს ტყვიით მოკლული გია ქარსელაძე... მერწმუნეთ, ასობით გია ქარსელაძე მოკვდებოდა თბილისის ქუჩებში, გენერლებს და თავად გორბაჩოვს რომ მათი ტყუილის დამტკიცების საშუალება მისცემოდათ! ვერც მხოლოდ სობჩაკის კომისიის დასკვნა შეძლებდა ცხრა აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა სრულ რეაბილიტაციას და გადარჩენილთა დაცვას, რომ არა ის ვიდეოფილმი, რაც ელდარ შენგელაიამ და გოგა ხაინდრავამ სხვადასხვა ვიდეომასალის, მათ შორის მამაჩემის მიერ გადაღებული ვიდეოს გამოყენებით დაამონტაჟეს და მსოფლიოს ქვეყნებს აჩვენეს! სწორედ მსოფლიო თანამეგობრობის ზეწოლის შედეგად დაიხია აგრესიულმა სამხედრო ძალამ უკან და ბოლომდე ვერ მიიყვანა ის სადამსჯელო ოპერაცია, რომლის მიზანი არა უბრალოდ მიტინგის დაშლა, არამედ ეროვნული მოძრაობისა და მის ლიდერთა სრული განადგურება იყო! თუმცა საბჭოთა კავშირის მემკვიდრემ, საბჭოთა რუსეთმა (რომელიც დღესაც წითელ რუსეთად რჩება) ეს ოპერაცია ჩვენდა საუბედუროდ, წარმატებით განახორციელა, როდესაც მისი ემისრის - ედუარდ შევარდნაძის - მეთაურობით სათითაოდ გაუსწორდა ყველა ლიდერს (გაიხსენეთ მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძის მკვლელობა მოწყობილ ავტოკატასტროფაში, ზვიად გამსახურდიას დამხობა და მკვლელობა, გიორგი ჭანტურიას მკვლელობა) და მთლიანად, ეროვნულ მოძრაობას, ქართულ სულს და ეროვნულ იდეას!!!

***P.S.** როდესაც 9 აპრილის ტრაგედიის ერთ-ერთი წლისთავი აღინიშნებოდა, მე გადავწყვიტე, რომ დამერღვია დუმილი... დავუკავშირდი ჩემს მეგობარს, თომა ჩაგელიშვილს და მოვუყევი ეს ისტორია, მან კი ამის შესახებ კურიერი პოსტსკრიპტუმის მაშინდელ წამყვანს, დათო კიკალიშვილს უამბო და 9 აპრილისადმი მიძღვნილ სპეციალურ გადაცემაში მამაც მიიწვიეს პირდაპირ ეთერში სასაუბროდ... ეთერის დაწყების წინ, სტუდიის მოსაცდელში მას ელდარ შენგელაია შეხვდა, რომელიც ეთერში მამაჩემის წინ უნდა შეეყვანათ... მან ცხადია იცნო მამა და როგორც „ჭეშმარიტმა წითელმა ინტელიგენტმა“ ისეთი რამ იკადრა, რომ სრულიად გადახაზა თუ რამ პატივისცემა გამაჩნდა მის, როგორც კარგი რეჟისორის, მიმართ... „რისთვის მოხვედი აქ დღეს, დაფნის გვირგვინი რომ მიიღო?“ - ეს იყო მისი შეკითხვა მამაჩემის მიმართ, როდესაც მისი სტუდიაში ყოფნის მიზეზი გაიგო... მამამ იმდენად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, მან პირდაპირ ეთერში არცერთ კითხვას, რომელიც იმ ღამის დეტალებს ეხებოდა, პრაქტიკულად არ უპასუხა და ფაქტიურად ეთერი ჩააგდო... ახლაც მახსოვს ის ელდა, რაც გადაცემის ნახვის დროს მქონდა, რადგან ვერ ვხვდებოდი რა დაემართა და რატომ არ საუბრობდა არაფერზე... მხოლოდ მისი სახლში დაბრუნების შემდეგ გავიგე სიმართლე, რომელიც ახლა თქვენც გადმოგეცით...*

ზვიად გოგიაშვილი

შეხვედრა დიდ მწერალთან

დასაწყისი გვ. 8,9,13

ურთიერთობა, უღმრთო კომუნისტებთან გაუთავებელი დავა; ვერაფრით დაუმტკიცებდით მათ, რუსეთი, ახალ ერებყლაპიად რომ ჩამოაყალიბეს. ბუნებრივი ავადმყოფობა და ასაკიც ეძალებოდა მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანს...

საკვირველი არაა? ყოველგვარი შედევრების შექმნა ცვეთს შემოქმედის ორგანიზმს თავისი სხეულის უმცირესი ორგანოებითაც:,რომელიც დაუზოგავ, თავისთავად ფიზიკურ, სულიერ-გონებრივ შეწირვას წარმოადგენს.

იშვიათობაა მსოფლიო პროზაში, მაგდაგვარი მოხდენილი ანდამატური თხრობის, მხატვრულ ულამაზესი ხატოვანი ფორმა, მიადევნეთ გონებრივი მზერა და იხილავთ მუქი წავლისფერი კოლხურ-იბერიული ცხენ-რაშის ფრიად შეკაზმულის მიერობას: წერის სტილის, ნეტარ ფერწერულ-მუსიკალური, პოეტური ნატიფი გემოვნება. აზრთ ჰარმონია მხატვარ მატისისეული, ხაზთ სვლა, ნარნარ დინება ფორმათ ყოველივესი. მოციქულთა ოთხთავივით საამოდ რომ იკითხება. რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ ხომ განუმეორებელი, ლიტერატურულ-მუსიკალურ-პროზაული უნაკლო პოემაა. გენიალურ პოეტთათვისაც თეთრი შურის აღმძვრელი. თხრობა-მოყოლისას ნებისმიერი სიტყვა-წინადადებით, ტანში ჟრუანტელის მომგვრელი სიახლე, აზრთ წყობით; ეგვიპტური ფრესკათ მოხატულობის შეპარვითი მრავალხაზოვანი განწყობილებაა, სიტყვათ-ფერ, აზრ-ფორმათ პროპორციები, მხოლოდ ავტორისეული სტილისებური მოქმედების ლიტერატურულ ჰარმონიად გვეცხადება.

ერთხელ, პარიზში, ლუვრის ფერწერული სურათების დარბაზებიდან გამოვედი, ულამაზესი ეზოს ჩრდილოვან მხარეს მარმარილოს გრძელ სკამზე განვმარტოვდი, ფერწერული შედევრებისგან აღფრთოვანებულს მინდოდა და ყოველმხრივ ვეცადე, გამოვნება, შედევრ ქმნილების თეორიულად განმეხილა, ჩავწვდომოდი, რა ხდება შენში იმ წუთებში ნაწარმოების უცხო შეგრძნება, სტილი და კულტურა ოსტატობისა როს შეგიპყრობს და ნეტარ სულიერ სიამოვნებას რომ განგაცდევინებს. აქ უთუოდ, მაგ შემთხვევაში, ღმერთი კეთილი განმანათლებლად შემოვიდა შენში, უშუალოდ შედევრიდან და უფრო მეტი რამე არსებობს? ახსნით?! ლამაზი თუ ნებისმიერი ქალის სიყვარულს? შეძლებთ, აის-დაისის მშვენიერების სულიერადაც დასურათებას? ან ბრძნულ სიახლე ღვთაებრივ აზრებს ბოლომდე ჩასწვდებით? ძნელიაო, იტყვიან. ამიტომაცაა ხელოვნების შედევრები უმეტესთათვის მიუწვდომელნი, რადგან ყველგან მათში იდუმალებათა უფაქიზესი ანგელოზისეული მრავალი უნატიფესი ნიუანსია დავანებული. დიდი ხელოვნება სამყაროს უსასრულობიდან გადმოედინება და უმნიშვნელო ნელი სვლით უკანვე მიცოცავს, კვლავ დიდი ნიჭია საჭირო მათი ჩვენს პლანეტაზე მუდმივად დატოვება-შენარჩუნებისა (დედამიწიდან დროთა ჟამში, ცოტა ხელოვნების შედევრებია გამქრალი?).

„თავისი დროის ზნეობის გაუმჯობესება – აი მიზანი, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ყოველი მწერალი, თუ არ სურს მხოლოდ „ხალხის გამრთობი“ „იყოს“. – ბალზაკი. კონსტანტინე გამსახურდია, ჭეშმარიტი მსახურია ამ ზეგონებრივი აზრისა...

კვლავ ვეახლოთ უკეთილშობილეს დიასახლისს; დარბაზში სიმშვიდეა, ფიქრები, აზრები, ნაწარმოებთა გმირები, ყოველგვარი ზნეობისა, თითქოსდა შორეულში გავიდნენ. მგონი ხელოვნების ანგელოზიც დადუმდა და მწერალთ მოძღვარს ფიქრებით მისჩერებია. ეზოდან ჩიტების ხმა ისმის... უმალ წამოვდექი და ქალბატონ მირანდას დარბაზიდან გასვლის უფლება ვთხოვე, თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, დაიღალა, ბატონო! დილით ადრე იწყებს ახალ რომანზე მუშაობას, ძალიან უნდა, „თამარ“ დროულად დაამთავროს. შემდეგ სურათი ავიღე, `„ეტიუდნიკი“ მხარზე გადავიკიდე და კეთილ დიასახლისს გულთბილი მადლიერებით დავემშვიდობე. წამით შევჩერდი და უმორჩილესად ვთხოვე, მაპატიოს კონსტანტინე ბატონმა, რადგან დაუმშვიდობებლად ვტოვებ თქვენს ღირსებას-მეთქი! არა უშავს, ბატონო! ამჟამად მდგომარეობა შეიქმნა ასეთიო. მაგ წუთებში უკმარისობის გრძნობით დათრგუნულს, უჩვეულო შინაგანი უძლურობის სიმძიმე დამაწვა...

რამდენიმე წლის შემდგომ, მაშინდელ საკავშირო გამოფენაზე მხატვართა კავშირიდან წარადგინეს ჩემი კოლხური კოშკის ნახატი, ქალაქ მოსკოვში და შემფასებელმა კომისიამ ფონდებისთვის შეიძინა კიდევაც. დღეს ნამდვილად ვნანობ; ნეტავ ჩემთან ყოფილიყო ერის საამაყო კონსტანტინე გამსახურდიას სიცოცხლის დროინდელი კოლხური კოშკის ამსახველი ფერწერული ტილო; ან საჩუქრად გადამეცა ოჯახზე. თუმცა, ბატონი კონსტანტინეს შვილის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ოჯახზე თავდასხმის დროს, საუბედუროდ, კოლხური კოშკი რომ გადაწვეს, შეუდარებელი, მგზნებარე პატრიოტის მიმართ მტრულად განწყობილმა ქართველებმა, ჩემი ნახატიც ხომ პოლიტიზირებული ცეცხლის მსხვერპლი გახდებოდა.

„ხელოვნების ნაწარმოებში ღმერთი სთავაზობს და კაცი განაგებს“. – ანდრე ჟიდი.

ზოგჯერ ღიმილით მიფიქრია, უზომოდ და უსაშველო ქარიანი კუთხის სხვადასხვა დონის და თვისების ნაშიერნი, როგორ მშვიდობიან გარემოცვაში ვურთიერთობდით ლეგენდარული კოლხური კოშკის ღვთიურ სივრცეში. უთუოდ რომ შორეულ წარსულში, ახალგაზრდობისას, ჩემზე მეტად განუცდია დიდ ოსტატს აბაშის, უფრო სამეგრელოს, ქარის თავხედურ ფორიაქთ მოვლენები. ყოველივე რა საფიქრალია, მაგრამ დროთა ღია ნაპრალები ხომ აღუვსებელია მარადის. კონსტანტინე გამსახურდიას სიახლე აღუწერელ გემოვნებიანი ძარღვიანი პროზა, შემოქმედებითი სრულყოფილებაა ნებისმიერი ეპოქისა თავისი სხეულ-სულიერებით, სამშობლოს უმდიდრეს წარსულ, ყოფით და დღევანდელობის ქარცეცხლიანი ისტორიიდან იყო აღმოცენებული, რომლითაც ერის მომავლის სასიცოცხლო კვირტებს აღვივებდა. თავისი ქვეყნის პატრონ-პატრიოტი გახლდათ, რჩეულ ქართველ მეფეთა დონეზე და კოსმიურად აზროვნებდა, მეცნიერულ-ფილოსოფიური რწმენითი ჯანსაღი აღმოჩენებით, ნებისმიერ პატრიარქზე უმეტესად. თავდადებით ებრძოდა როგორც წარსულის, ასევე იდეურად აღჭურვილ თავისი დროის უძლიერეს დამპყრობლებს. მრავალჯერ თუ გადაურჩა გოლგოთა-გილიოტინას, ისევ ვით უხორცო უშიშარის, დაუდგრომელ-მოუსვენარი და სუსხიანი ნიჭგენიიდან გამომდინარე, მაგრამ მოღალატე ქართველებთანაც მუდმივი დაპირისპირებებით, პირადი ჯანმრთელობა დღითიდღე უუარესდებოდა. ჯალათებმა რამდენიმეჯერ, იოანე ნათლისმცემელივით, პატიმრობაშიც იყოლიეს. უთუოდ წმიდა მებრძოლი, ზეციდან ახლად მოვლენილი მორიგი შეწირულობა გახლდათ: სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ ზოგავდა უიშვიათეს უფლისმიერ ნიჭთ-მოწოდებას და ერის სამსხვერპლოზე პირწმინდად მიაბრძანებდა სამშობლოს სიცოცხლის მირონმომდინარე ხატთან, რომელიც ათასწლეულთა საშოდან გამოგვეცხადა. მთელი სიცოცხლე ნათელმიზნობრივად ჯვარზე გაკრულმა გმირულად გაატარა. კეთილი ზვარაკი ნელ-ნელა იცლებოდა წმიდა სისხლისაგან და ღია არტერია-კაპილარ-ძარღვებით დღენიადაგ კვებავდა მარად ტანჯულ, შინაური თუ გარეული მტრისგან გადათელილ მამულს, რისგანაც მადლიერებით აღმოცენდნენ შეუპოვარი, კვლავ შეწირული გმირები.

უდრეკი გენია ხელოვანი საბოლოოდ მედგრად დაეძგერა სიკვდილს და დაიმსხვრა მეტეორებად გარდასახული...

მწერლის უნიკალური, მზედქმნილი რომანები, მოთხრობები, ნოველები, ესეები თუ მრავალი მეცნიერულ-ფილოსოფიური წერილ-ნაწარმოები სამუდამოდ დაობლდაო, ვიღაცებმა დაიძახეს, მაგრამ არა! ერმა და მსოფლიომ მარადიულად იშვილეს. ნეტარ! კონსტანტინე ბატონის სისხლი კი, სამშობლოს მიწის ჟამეულ ნაპრალებში მტკიცედ ჩაკირდა...

რეზო ადამია,
2020 წ.



ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა ვერძანიაში

ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის უკანასკნელი მდგომარეობის შესახებ, მისი მეუღლე ანა ჯაბაური თავის ფეისბუქ-გვერდზე ერთობლივ ფოტოს აქვეყნებს და წერს:

– საავადმყოფოებში ერთწლიანი ,,გამოკეტილობის'', ტოტალური გერმანული ,,ლოქდაუნის'', საყოველთაო პანდემიური ისტერიისა და მუდმივად ურთულესი სიძნეელეების გადალახვის ფონზე, მგონი არაგვიშავს ...

მადლობა კლინიკის ადმინისტრაციას ცოტნეს პოზიტიური განწყობის შენარჩუნებისთვის, გამონაკლისის სახით მასთან ჩემი 24 საათიან რეჟიმში ყოფნის დაშვებით ...

ანა ჯაბაური, ამასთანავე, საჯარო პირობას დებს, რომ სიცოცხლის ბოლომდე ქმრის გვერდით იქნება და ცოტნეს მდგომარეობის გაუმჯობესებას პროგნოზირებს.

სენი ჯკუის სიმსუმუქისა...

,,....არს ხეობა ატენის მდინარისა. ...ატენის-წყალს მოერთვის აღმოსავლიდამ ვერის ხევი ... ამის ზეით ატენი, მცირე ქალაქი. ატენის სამხრეთით არს მონასტერი სიონი, გუმბათიანი. კეთილნაშენი, და აწ სმენ გადამდგარს ეპისკოპოზს ახტალის მაგიერ, ვინაითგან იგი უქმს, და აწ არს ნიში მისი“ (ვახუშტი).

ბიუროკრატია ფრანგული სიტყვაა (Bურეაუცრატიე), მოგეხსენებათ და სახელმწიფო მართვას ნიშნავს ხალხის გარეშე... ისევ ფრანგები წერენ ,,ბიუროკრატია გიგანტური ძალაა, მაგრამ ცხოვრებაში პიგმეებით ვრცელდებაო ...” არ გვინდა დაჯერება, მაგრამ ფაქტია, ისეთი მაღალი იერარქიის სასულიერო პირებისთვის, როგორიც მღვდელმთავარი მეუფე ანდრია გვაზავა გახლავთ, ბევრად უფრო პრივილიგირებულია უცხოელი ტურისტების შეხედულება და აზრი ვიდრე ის პატიოსანი, ალალი ატენელები, რომლებსაც VII საუკუნეებიდან დღედე ყველაფერი გააკეთეს, რომ აქადე შემონახულიყო ბაგრატ IV – ის, დავით აღმაშენებლის, დემეტრე უფლისწულის ატენის სიონის გარე დასავლეთ ფასადზე წარწერები, რომლებიც გვირგვინოსნების ხელით არის შესრულებული და მათ ავტოგრაფებს უნდა წარმოადგენდნენ. ტაძრის შიგნით კი დასავლეთ კედელზე განთავსებულია, ბუღა-თურქეთის მიერ თავდატეხილი უბედურების ამსახველი ასომთავრული წარწერა (863 წ.) და ა.შ.

რამ გადააწყვეტინა მეუფე ანდრიას, VII საუკუნიდან მომდინარე ქართული ქრისტიანული მადლის ,,განკარგვა“ საკუთარი სურვილის მიხედვით, დარწმუნებულს, ბუზს რომ ვერავინ აუფრენს? ნუთუ თავისი ფეოდალური სიმდიდრისა ან უდიდესი გავლენების წყალობით?

რატომ წერია მეუფე ანდრია გვაზავა სასულიერო საეკელსიო ტიტულში როგორც გორისა და ატენის ეპარქიის ეპისკოპოსი... როდესაც შიდა ქართლის უძველეს სოფელ ატენში ვახუშტის აღწერით 87 სალოცავი საყდარია დედა ეკლესიის ატენის სიონის ჩათვლით და ატენელები მაინც სოფ. ხიდისთავში 3 წლის წინ აშენებულ ეკლესიაში დადიან და მის მრევლს წარმოადგნენ... ცოტა გაუგებარი ხომ არ არის ,,ქართუ“ ჯგუფის მიერ ატენის ხეობის ეკლესია მონასტრების რეაბილიტაცია, თუ გულწრფელი

(ფოტო გადაღებულია 1905 წელს)

ლოცვისთვის მორწმუნე, ეზოს უკანა კარებიდან უნდა ,,შეიპაროს“ (?).

იყო ხამოკლე, პირველი პრეზიდენტის მმართველობის პერიოდი, როდესაც გორს თავკაცობდა საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი და პატრიოტი პრეფექტი აწ გარდაცვლილი ომარ ჩუბინიძე, რომელსაც მთელი შეგნებით ესმოდა, როგორც ატენის ხეობის ბებერი ქვების სატკივარი, ისევე ის, რომ არსებობა მხოლოდ ამ ქვეყნიური ცხოვრებით არ შემოიფარგლება და ატენის სიონი, გარდა თანამედროვეობისა, უფრო დიდი და მარადიული სიცოცხლით სუნთქავს. ამიტომ იყო, რომ სასწრაფოდ ჩააჩუმა მღვდელი გიორგი ოქროპირიძე და საშუალება არ მისცა მის აზრს განვითარებისა – ატენის სიონის ეზოში მამათა მონასტრის მშენებლობის დაწყების შესახებ ...შემდეგ დაიწყო შევარდნაძის ,,მზეობის“ ხანა, ისევ განაახლა მამა გიორგიმ მშენებლობის დაწყების განხორციელების იდეა, რის წინააღმდეგაც წავედი მე, როგორც სოფლის ძირძველი მოსახლე, არქეოლოგი, პროფესორი გურამ აბრამიშვილი, გორის მაშინდელი გამგებელი ზურაბ წკრიალაშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი დავით მაღრაძე, საპატრიარქოს მაშინდელი პრეს-სამსახურის უფროსი კეთილშობილი მღვდელი ადამ ბეწუნაიძე, გორის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე ვახტანგ ახვლედიანი და რასაკვირველია მთელი სოფელი ატენი... დიდი ბრძოლის შემდეგ მისი უწმინდესობის გადაწყვეტლებით ატენის სიონის მღვდელმა მამა გიორგი ოქროპირიძემ დატოვა ტაძარი და მისგან იავარქმნილი ეზო. რომელიც შემდეგ სოფლის მოსახლეობამ აღადგინა და გაალამაზა. 3 წლის შემდეგ გორისა და სამთავისის ეპარქიის ეპისკოპოსად დაინიშნა მეუფე ანდრია გვაზავა და ტაძრის გარშემო არა სატვირთო მანქანა და ტრაქტორი, როგორც ადრე, არამედ ელექტროკომპრესორი ამუშავდა და დაიწყო ტაძართან 1.5 -2 მეტრის დაშორებით კლდის რღვევა, იმ ტაძრის გვერდით, რომლის ირგვლივ 500 მ რადიუსით სატვირთო მანაქნის გავლა სავალალო ვიბრაციულ დაზიანებებს იწვევს. (!!!)

საქმე იმაში გახლავთ, რომ 2009 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკა ვაჩეიშვილმა ოფიციალური ნებართვა მისცა მეუფე ანდრიას მამათა მონასტრის მშენებლობისათვის. მერე რა თუ 15-ე საუკუნის ხედი ატენის სიონისა დამახინჯდა და შესასვლელიც ეზოს უკანა მხრიდან ჩამოუყალიბდა, სამაგიეროდ ზუსტად ატენის სიონის მოპირდაპირედ აიგო ორი ქვითკირით ნაგები სასახლე ნიკა ვაჩეიშვილის საკუთრებით და მდ. ტანის პირზე რესტორანიც აყვავდა მის სახელობაზე. ...

კოლოსემუის წინ თუ ვინმე გაბედავდა და ააშენებდა კედლებს საინტერესოა ქართული პოლიტიკური ელიტა, როგორ განიხილავდა ამას, ახლა თუ იცით რა ხდება?

ისევ საინტერესოა კიდევ ერთი რამ: ატენის სიონიდან დაახლოებით 150 მეტრის დაშორებით არის

ფრიად შეძლებული ატენის დედათა მონასტერი გამორჩეული, ღარიბ სოფელში თავისი მდიდრული ვიზუალური შეხედულებით, გარშემორტყმული ქვის მძლავრი გალავნით და უზარმაზარი რკინის ჭიშკრით. დედები დაბრძანდებიან ძვირადღირებული მანქანებით და როგორც სოფელში ამბობენ ყოველ თვიურად 900 ლარის მარტო ელექტრო ენერგიას ხარჯავენ. არის შეთხვევები, როდესაც სოფელში სასმელი წყალი არ არის, მათ ამ დროს ბაღების სარწყავად აქვთ სოფლის წყალი გამოყენებული. ასევე, მონასტრის ეზოში ღვთისმშობლის სახელობის VII საუკუნის ეკლესიას ჩამოეფარა ქვის გალავანი ცენტრალური გზიდან შესასვლელის უგულგებელსაყოფად.

ატენის სიონის მიმდებარე ყველა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი, ზოგი ნებით, ზოგი იძულებით იქნა ,,დაპყრობილი“ მონასტრის მიერ და ის, რომ დედა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის შემოსასვლელი ცენტრალური გზიდან ბოქლომით უნდა დაეკეტათ, არც ეგ დავიწყებიათ. დედების სურვილის მიხედვით ხდება ეკლესიის დათვალიერება ტურისტებისთვის და განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება ატენელებიც შეუშვან.

ნუთუ მეუფე ანდრია გვაზავამ, ბატონ ვაჩეიშვილის, როგორც ,,ორიოდე გროშის მფლობელის“ ცალტვინა აზროვნებით, ხალხი (რიშელიის თქმის არ იყოს) ,,ჯოგად“ წარმოიდგინა და გადაწყვიტა ყველაფერი უცხოელი ტურისტების შეხედულებების და შთაბეჭდილებების მიხედვით ააწყოს? გადაივიწყა, რომ ,,მოსვლად არს ძე კაცისაი დიდებითა მამითა თვისაითა ანგელოზნი მისთა თანა და მაშინ მიაგო კაცად კაცსა საქმეთა მათთებრ...“ (მათე 16.27).

საგულისხმოა, რომ ყველაზე ძალიან ატენის ხეობას შაჰ თამაზის შემოსევისას გაუჭირდა, მაგრამ ატენის სიონისთვის და ამდენი ეკლესია მონასტრებისთვის ხელი არავის უხლია. ატენის სიონის გუშაგია ატენის ციხე, მის მოპირდაპირე მხარეს და საბრძოლო კოშკი იქვე შორიახლოს. ატენელები ყველაფერს აკეთებდნენ 15 საუკუნის მანძილზე, რომ ყოფილიყო ატენის სიონი ხელშეუხებელი იმ 87 ეკლესია მონასტერთან ერთად, რომელიც დაწვრილებით ვახუშტის

აქვს აღწერილი. ატენის სიონის ადგილზე თავდაპირველად V-ე საუკუნეში ბაზილიკური ტიპის ეკლესია იყო აშენებული. შემდეგ კი მის ადგილზე VII საუკუნეში ცენტრალურ ჯვარ გუმბათოვანი ნაგებობა ატენის სიონი აღუმართავთ ქართლის ერისთავებს: ნერსეს და მის ძეს სტეფანოზ მამფალს. (639. 663).

ატენის სიონი, ისევე როგორც მცხეთის ჯვარი ერთი ბიზანტიური სტილით არის ნაგები, რაზეც მარტინ ჰაიდეგერი წერს: ,,ბერძნული ტაძარი უნდა მდებარეობდეს ხეობებით დასერილ კლდით შემოსაზღვრულ ხევზე“... კი ბატონო, ფრიალა კლდეს შემორჩა მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი კი, ისეთი შთაბეჭდილება რჩება თავისსავე იერსახიდან გამომდინარე, რომ სადღაც ბოსტანშია ჩაჩოჩებული. ,,რაც არ ყოფილა და არც იქნება ისე ნუ იფიქრებთ, თითქოს ხელთ გქონდეთ... ეს სენი ხომ ჭკუის სიმსუბუქით არის გამოწვეული“ – ქადაგებს ღმერთშემოსილი მოძღვარი მამა ბასილი.

და მაინც, აქამდე, 15-ი საუკუნის მანძილზე, თუ არ ჰქონია ატენის სიონს ან ეს ქვის გალავანი, ან მამათა მონასტერი, ახლა რაზე ჩამოაფხატა მეუფე ანდრიამ თვალებზე? რა სოფელ ატენში მეტი მიწის ნაკვეთი მონასტრის ასაშენებლად არ იყო? რას მივაწეროთ ატენის სიონის უკანა მხრიდან შესასვლელი, რა ვერ გათვალა მისმა აღმშენებელმა 15 საუკუნის წინ, რომელმაც ასე გაუძლო ამ პერიოდს და ახლა მეუფე ანდრიამ დაიწუნა? მაგრამ გვახსოვდეს ბატონებო

,,არა კაცია მსაჯული, არამედ მეუფე, ,,მარჯვენით მჯდომარე მამისა თვისისა“ , რომელმაც შეიძლება სასჯელი დააგვიანოს, მაგრამ გაუქმება არა სჩვევია.

ნატო სუციშვილი
ატენის ხეობის მკვიდრი

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404511658
მთ. რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
ვებგვერდი: *http://ganmatavisuflebeli. webs. com*
ელ. ფოსტა: *ganmatavisuflebeli@yahoo. com*